ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 9 თებერვალი, 2018 — №33 (7578) — ფასი: 50 თეთრი

## რატომ წავიდა მეუფე იაკობი ამერიკაში



გვ.3

**8 თებერვლიდან**

ავთანდილ ბუხრაშვილი

**ვინ მოკლა ინსპექტორი**

ქართული დეტექტივი ტომი 6-7




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

# „თავდასხმის მთავარი სამიზნე ნოდარ გუგეშაშვილი იყო“



გვ.7

## „დოდო გუგეშაშვილზე თავდასხმა, შესაძლოა, უკრაინას უკავშირდებოდეს“



გვ.2



ტრისტან წითელაშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ კიევი გააფრთხილა, სააკაშვილი არ გადმოგვცეთო“

## „მოსამართლეს შეეძლო, ფარმან ჯეირანლი 200.000 ლარით დაეჯარიმებინა, მაგრამ 6 წელი მიუსაჯა“



გვ.4



გვ.5

## „აფხაზეთის პარტიებში ჯაშუშები არიან შეგზავნილი. ისინი დიდ ფულს იღებენ“

**სამართალი** გვ.7



## „ბადაგონში“

სკანდალი გრძელდება. „დაქირავებულმა სალაყაიამ ვლადიმერ ჯანჯღავას დაფუძნებული „ბადაგონი“ თაღლითურად მიისაკუთრა“

## გარემოსდაცვით დეპარტამენტში უშიშროება შევიდა

დეპარტამენტის უფროსი გურამ ასათიანი პრემიერ კვირიკაშვილის ახლობელია



**ეკონომიკა** გვ.6



„ფიზიკურ პირებს მოსამზადებლად გონივრული ვადა უნდა მიეცეთ“



## იაპონიაში ქართული კივის პოპულარობამ იტალიურ და ფრანგულ კივის გადაასწრო



## კომერციული ბანკები ეროვნული ბანკის დავალებას არ ასრულებენ

ISSN 1987-9385

4 ნაძალადევში 40-მდე სკოლის მოსწავლე იჩხუბა

5 ირმა ჭკადუა: „მე არ მითქვამს, რომ ჩემს კლიენტს მხოლოდ იმიტომ უნდა შეჰფარდებოდა გირაო, რომ კარგი მოსწავლეა“

2 იური ლუცენკო: „დიდად არ ვისურვებდი მიხეილ სააკაშვილის გაშვებას ქართულ ციხეში“

4 ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს

# „დოდო გუგეშაშვილზე თავდასხმა, შესაძლოა, უკრაინას უკავშირდებოდეს“

## ტრისტან წითელაშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ კიევი გააფრთხილა, სააკაშვილი არ გადმოგვცეთო“

შორენა მარსაგიშვილი





**რა სპეციალური ინფორმაციებს ფლობდა დოდო გუგეშაშვილი, უკავშირდება თუ არა მასზე თავდასხმა უკრაინაში ქართველ მებრძოლებზე დაწყებულ ნადირობას, ვისი ჩვენებებით აშანტაჟებს უკრაინის ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.**

**ტრისტან წითელაშვილი:**

– თქვენს მკითხველს მოეხსენება, რომ უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში ქართველი მებრძოლებიც მონაწილეობდნენ. უკრაინაში ერთ-ერთი პირველი წავიდა დოდო გუგეშაშვილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ უკრაინაში მებრძოლ ქართველებზე, ფაქტობრივად, ნადირობაა დაწყებული, შესაძლოა, დოდო გუგეშაშვილზე განხორციელებული თავდასხმაც ამ პროცესის გაგრძელება იყოს.

***– ამას ვარაუდის დონეზე ამბობთ თუ რამე ინფორმაციას ფლობთ?***

– ამ მომენტისთვის დანამდვილებით ამის მტკიცება გამიჭირდება, მაგრამ, შესაძლოა, კვალი მართლა უკრაინამდე მიდიოდეს. დოდოს უკრაინასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ინფორმაცია ჰქონდა.

***– რა ინფორმაციები?***

– სხვადასხვა სახის ინფორმაცია ჰქონდა, მათ შორის იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა საქართველოდან უკრაინაში ქართველი მებრძოლების გადაყვანა.

ისიც აშკარაა, რომ ადამიანი, რომელმაც თავდასხმა განახორციელა, კარგად იცნობდა დოდოს.

***– რატომ გგონიათ, რომ იცნობდა?***

– დოდო ფრთხილი ადამიანი იყო და ის უცხოს კარს არ გაუღებდა. ეს მაფიქრებინებს, რომ მას დოდო იცნობდა.

ძალიან ბევრი კითხვა მაქვს ამ თავდასხმის გარშემო, რაღაც ინფორმაციები უკვე მოვიპოვე და მგონია, რომ ჩემი ვარაუდი მართლდება. არ ვამტკიცებ, რომ ეს თავდასხმა უკრაინაში დაიგეგმა, მაგრამ ის უკრაინაზეა მიბმული.

დოდოსთან ხშირად მიწევდა საქმიანი შეხვედრები. ის მთლიანად უკრაინულ ამბებზე იყო გადართული. რამდენჯერმე ვუთხარი, მეც მაგ თემაზე ვარ გადართული-მეთქი.

***– უკრაინაში ქართველი მებრძოლების თემას რადგან შევეხეთ, რა ხდება მათ თავს?***

– კარგი არაფერი ხდება. უკრაინის ხელისუფლებამ ქართველები ამ პროცესებიდან, ფაქტობრივად, მთლიანად ჩახსნა.

***– ჩახსნაში რას გულისხმობთ?***

– შეიარაღებულ ძალებს ჩამოაშორეს. რამდენიმე ათეულმა მებრძოლმა მოასწრო უკრაინის დატოვება. მათზე, ფაქტობრივად, ნადირობა იყო გამოცხადებული, ზოგს დაჭერით ემუქრებოდნენ, ზოგსაც – დეპორტაციით.

***– მამუკა მამულაშვილი, გიგი კალანდაძე, ბაჩო კიკაბიძე ისევ მაღალ თანამდებობებზე არ არიან?***

– მაღალ თანამდებობებზე არ არიან. კიკაბიძე და კალანდაძე გავლენებს ისევ ინარჩუნებენ, მამულაშვილს კი მძიმედ აქვს საქმე. ის რამდენიმე დღის წინ დაკითხვაზეც დაიბარეს.

***– რა საკითხზე დაიბარეს დაკითხვაზე?***

– მაიდანის ამბებზე. ამ საკითხზე ჩვენების მიცემა მიხეილ სააკაშვილსაც მოუწევს. ის 13 თებერვალს არის დაბარებული. მაიდანის ამბებზე უკრაინაში სერიოზული გამოძიება მიმდინარეობს.

სხვათა შორის, ჩვენ იმ სნაიპერების ბილეთები ამოვწიეთ, რომლებიც მაიდანზე ხალხს ესროდნენ. ამ სნაიპერებმა იტალიურ მედიას ინტერვიუ მისცეს, სადაც ამ მოვლენებზე დეტალურად საუბრობენ.

***– თქვენ ამ ადამიანების ბილეთები საიდან მოიპოვეთ?***

– ბილეთების ბაზიდან. მათი ჩაფრენის თარიღი ზუსტად ემთხვევა მაიდანის მოვლენების დაწყებას. მაიდანზე რომ დაქირავებული ქართველი სნაიპერები ესროდნენ ხალხს, ამის შესახებ პირველი განცხადება ჯერ კიდევ 2014 წლის მარტში გავაკეთე, ვამბობდი, რომ ამ ჯგუფის უკან სააკაშვილია. მაშინ არავინ დამიჯერა, მეტიც, ჩემი განცხადება არასერიოზულად მიიჩნიეს.

გავიდა დრო და გაირკვა, რომ მე სიმართლე ვთქვი. ეს გამოძიებამაც დაადასტურა და ამაზე ჩვენებებშიც არის საუბარი.

***– ვინ მისცა ჩვენება?***

– ამ სნაიპერებმა. ამ ჩვენებების ქსეროასლები მაქვს და შემიძლია გადმოგცეთ. ჩვენებები საკმაოდ სერიოზული და სკანდალურია.

***– ჩვენებაში სააკაშვილზეც არის საუბარი?***

– რა თქმა უნდა. ძალიან სერიოზული ბრალდებები ისმის მისი მისამართით.

***– შეექმნება მას ამის გამო რამე პრობლემა?***

– სერიოზული პრობლემები შეექმნება.

***– უკრაინის ხელისუფლებას არ შეექმნება პრობლემა? მაშინ სააკაშვილი და პოროშენკო ერთი გუნდი იყვნენ.***

– როგორ არ შეექმნება. სნაიპერების ჩვენებები პოროშენკოსთვის იმ შემთხვევაში იყო ხელსაყრელი, თუ ისინი მას, ბაროვს, ბაშინსკის არ დაასახელებდნენ, უნდოდათ, რომ მხოლოდ სააკაშვილი გამოკვეთილიყო.

ჩვენებაში მათზეც არის საუბარი და ეს სააკაშვილმა სხვანაირად გამოიყენა. მან პირდაპირ უთხრა უკრაინის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, თუ გამწირავთ, მე გაგწირავთ თქვენო.

***– აშანტაჟებს სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლებას?***

– აშანტაჟებს რომელია. ოფიციალური კიევის გარდა, მან, შესაძლოა, ამერიკასაც შეუქმნას პრობლემები.

***– ამერიკას რატომ უნდა შეუქმნას პრობლემები?***

– ქართველი სნაიპერები თავიანთ ჩვენებებში ამერიკელ მაღალჩინოსნებსაც ასახელებენ. მათი გვარების გაჟღერება არავის აწყობს.

უკრაინის ხელისუფლებაში ძალიან მძიმედ არის საქმე. ხელისუფლება, ფაქტობრივად, ორად არის გაყოფილი. ხელისუფლების ერთ შტოს მართლა უნდა, რომ სააკაშვილი გასამართლდეს, მაგრამ მეორე შტოს ეს არ აწყობს. ისინი გამოძიებას ყველანაირად ხელს უშლიან.

ადრეც გითხარით, რომ უკრაინაში ჩვენების მისაცემად უნდა წავსულიყავი. ყველაფერი მზად იყო. ერთ დღესაც დამირეკეს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურიდან და მირჩიეს, არ ჩამოხვიდეთო.

***– მიზეზად რა დაგისახელეს?***

– მითხრეს, რომ უსაფრთხოების გარანტიებს ვერ მაძლევდნენ და საქართველოში დარჩენა მირჩიეს.

***– მოდით, უკრაინაში მყოფ ქართველ მებრძოლებს დავუბრუნდეთ. დაცულია მათი უსაფრთხოება?***

– ქართველი მებრძოლების უსაფრთხოება დაცული არ არის. მიხარია, რომ მათი დიდი ნაწილი ან სამშობლოში დაბრუნდა, ან სხვა ქვეყნებში გადავიდა. ამ ბიჭების მიმართ, წესით, არანაირი პრეტენზიები არ უნდა ყოფილიყო. ისინი უკრაინაში წავიდნენ იმიტომ, რომ უნდოდათ, რუსულ არმიაზე შური ეძიათ. ეს ბიჭები ნამდვილი პატრიოტები არიან და მათი ასე მიტოვება არ შეიძლება.

რამდენიმე მათგანს უკვე შევხვდი და ვესაუბრე. მიმაჩნია, რომ მათი უფლებები უნდა დავიცვათ.

***– მათ საქართველოშიც აქვთ პრობლემები?***

– დიდი ალბათობით, შეექმნებათ. მე უკვე შევხვდი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს და ვუთხარი, რომ ამ ბიჭებს კანონთან პრობლემა არ უნდა შეექმნათ. ისინი უკრაინაში პატრიოტული გრძნობებით წავიდნენ. ჩვენს ხელისუფლებას ურჩევნია, მათ თავი დაანებოს და ყველაზე დიდ დამნაშავეს მიხედოს.

საქართველოს ხელისუფლება საჯაროდ ამბობს, რომ სააკაშვილის ექსტრადირებას ითხოვს. საქმე სულ სხვანაირად არის. უკრაინაში, მოგეხსენებათ, ბევრი მეგობარი მყავს. მათგან მაქვს უტყუარი ინფორმაციები, რომ „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის თბილისში ჩაყვანა არ სურს.

ჩვენი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები დაუკავშირდნენ უკრაინელ კოლეგებს და უთხრეს, არ გადმოგვცეთო. უკრაინელები ევროპის რამდენიმე ქვეყანამაც გააფრთხილა, ეგ კაცი არაფერში გვჭირდებაო. არიან ახლა უკრაინელები გაჭედილში, ვერც აგდებენ და ვერც იჭერენ.

ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორს ძალიან ბევრი კომპრომატი აქვს უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ. როგორც კი პატიმრობას მიუსჯიან, ყველაფერს გამოაქვეყნებს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ სააკაშვილს დღემდე აქვს წვდომა საიდუმლო ინფორმაციებზე.

***– რანაირად?***

– ძალოვნების ნაწილი მას მხარს უჭერს. სწორედ ისინი აწვდიან მას ამ ინფორმაციებს.

## პაატა ბურჭულაძე სასამართლოში დღეს დაიკითხება



ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე სასამართლოში დღეს დაიკითხება. ბურჭულაძე პროკურატურის კითხვებს ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით უპასუხებს. მსოფლიო ბანი საქართველოში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა და მზადაა, პროკურატურის კითხვებს პასუხები გასცეს. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რომელ საათზე მოხდება მოსამართლის წინაშე ბურჭულაძის დაკითხვა.

როგორც ცნობილია, საქმე ეხება ფონდ „იავნანას“ თანხების გაფლანგვას, რაზეც პროკურატურამ ძიება ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე დაიწყო.

## იური ლუცენკო: „დიდად არ ვისურვებდი მიხეილ სააკაშვილის გაშვებას ქართულ ციხეში“



უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებთან შეხვედრის დეტალები გაიხსენა, რომელიც სააკაშვილის საქართველოში ექსტრადიციას ეხებოდა.

ლუცენკოს თქმით, თუკი სააპელაციო სასამართლო საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უარს ეტყვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებაზე, სააკაშვილს სამი ვარიანტი რჩება.

– თუკი სასამართლო აღიარებს, რომ მას უკრაინაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების უფლება არ აქვს, მისთვის რამდენიმე შესაძლებლობა გამოჩნდება. პირველი, ნებაყოფლობითი დაბრუნება მის მიერ არჩეულ ნებისმიერ ქვეყანაში, მაგალითად, ნიდერლანდებში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს... ნიდერლანდებმა დაადასტურა მზადყოფნა, მიიღოს სააკაშვილი ოჯახის გაერთიანების პროცედურის მიხედვით. მეორე ვარიანტი – ნებაყოფლობითი ან იძულებითი დეპორტაცია მის მიერ არჩეულ ერთ-ერთ ქვეყანაში ან ქვეყანაში, რომლიდანაც მან უკანონოდ გადაკვეთა უკრაინის საზღვარი, ანუ პოლონეთში. ასევე არის ექსტრადიცია საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნით, – უთხრა ლუცენკომ უკრაინულ გამოცემას.

ლუცენკომ დააზუსტა, რომ სააკაშვილის საქართველოში დეპორტირებისთვის საჭირო გახდება კიდევ რამდენიმე სასამართლო პროცედურა.

– ამისთვის (საქართველოში დეპორტირებისთვის) საჭიროა კიდევ რამდენიმე გრძელი სასამართლო პროცედურის გავლა. თუმცა ჩვენ ამ გზით მივდივართ, რადგან უკრაინამ ხელი მოაწერა შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებას, მათ შორის საქართველოს წინაშეც. კარგი, ასე ვიტყვი. ჩემთვის ყველაზე რთული იქნებოდა ბოლო გადაწყვეტილება, რადგან სააკაშვილის ექსტრადიცია საქართველოში მის 100%-იან დაპატიმრებას ნიშნავს, – თქვა ლუცენკომ ინტერვიუში.

მან ასევე დაამატა, რომ სააკაშვილს არ გაუშვებდა ქართულ ციხეში.

– სიმართლე გითხრათ, დიდად არ ვისურვებდი მის გაშვებას ქართულ ციხეში, – თქვა უკრაინის გენპროკურორმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ წავიდა მეუფე იაკობი ამერიკაში

შორენა მარსაგიშვილი

**პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე იაკობი კიდევ ერთხელ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საპატრიარქოს უნივერსიტეტის სახელით მეუფე იაკობი ამერიკული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. საპატრიარქოს უნივერსიტეტში ახალი ფაკულტეტების გახსნა იგეგმება.**

კიბერუსაფრთხოებისა და ბიზნესადმინისტრირების დარგში საპატრიარქოს უნივერსიტეტი უახლოეს მომავალში ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის დანერგვას გეგმავს. ამასთან დაკავშირებით მეუფე იაკობი განათლების სფეროს სპეციალისტებს უკვე შეხვდა. მისი ინფორმაციით, სამუშაო შეხვედრები მაისში გაიმართება და მათ ორგანიზებაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც ჩაერთვება.

რატომ დაიწყეს მაღალი იერარქიის სასულიერო პირებმა ამერიკაში სიარული, ჩაერევა თუ არა აშშ-ის საელჩო ახალი პატრიარქის არჩევაში, რა პროცესები იწყება საქართველოში, ვინ უნდა ელოდოს შურისძიებას? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

***— ამ მოკლე პერიოდში პატრიარქის ქორეპისკოპოსი უკვე მეორედ წავიდა ამერიკაში, რასაც გარკვეული მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ჩვენი საპატრიარქო რუსეთთან ასოცირდება. მისი წარმომადგენლებიც ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ რუსეთი ერთმორწმუნე ქვეყანაა.***

— ვერ დაგეთანხმებით, რომ საქართველოს საპატრიარქო რუსეთთან ასოცირდება, ვერც იმას ვიტყვი, რომ რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა, მიუხედავად იმისა, რომ იქ მართლმადიდებლები ცხოვრობენ. ამ ქვეყანაში რწმენა მესამე და მეოთხე პლანზეა გადაწეული. იქ მთავარი ფული და ეფესბეა.

რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანა რომ ყოფილიყო, არც ტერიტორიებს წაგვართმევდა და არც თურქეთ-ირანს შეეკვრებოდა ჩვენ წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ მივესალმები, თუ ჩვენი სასულიერო პირები დასავლეთთან დაამყარებენ კავშირებს. ჩვენი სასულიერო პირები ნატოს შტაბბინაშიც იყვნენ და საკუთარი თვალით ნახეს, რასაც წარმოადგენს დასავლეთი. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი დასავლურ ღირებულებებზე მრევლსაც ესაუბრებიან, რაც ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ პოზიტივის მომტანი იქნება.

***— დასავლურ ღირებულებებში რას გულისხმობთ? დასავლეთში ზოგიერთ ქვეყანაში ეკლესია ერთსქესიანთა ქორწინებას მხარს უჭერს. თქვენი აზრით, ჩვენი სასულიერო პირები ამას მხარს დაუჭერენ?***

— ამაზე საუბარი არ იქნება. დასავლური ღირებულებები მხოლოდ ეს არ არის. დასავლური ღირებულებები ბევრ რამეს მოიცავს.

***— ჩვენი სასულიერო პირების დიდი ნაწილი დასავლურ ღირებულებად ჰომოსექსუალიზმსა და გარყვნილებას ასახელებს.***

— ეს არის რუსული პროპაგანდის შედეგი. ჩვენმა სასულიერო პირებმა თავად ნახეს დასავლეთი, გაეცნნენ მართლა დასავლურ ღირებულებებს და დამოკიდებულებაც შეიცვალეს.

რაც შეეხება გარყვნილებასა და ჰომოსექსუალიზმს, ესენი რუსეთშიც არის, თან ისეთ ფორმებში, დასავლეთს რომ არც დაესიზმრება.

***— ბოლო პერიოდში ძალიან აქტიურად საუბრობენ იმაზე, თუ ვინ იქნება საქართველოს მომავალი პატრიარქი. ამბობენ, რომ რუსეთს თავისი კანდიდატი ჰყავს. პატრიარქობის ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრება მეუფე იაკობი, რომელიც ამერიკას უკვე ხშირად სტუმრობს. გაჩნდა ვერსია, რომ მის კანდიდატურას აშშ-ის საელჩო ლობირებს. ამაზე რას იტყვით?***



— რუსებს რომ თავიანთი კანდიდატის გაყვანა უნდათ პატრიარქად, ეს გასაკვირი არ არის. რაც შეეხება აშშ-ის საელჩოს, არა მგონია, ის ამ საქმეში ერეოდეს. საქართველოს საპატრიარქო არ არის ის ინსტიტუტი, რომ ვინმეს მითითებები შეასრულოს. შესაძლოა, ამერიკელებს მოსწონთ კიდევაც მეუფე იაკობი, მაგრამ ის ამერიკაში სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ არ წასულა.

მან გარკვევით თქვა, რომ საპატრიარქოს უნივერსიტეტში გაიხსნება ინგლისურენოვანი მაგისტრატურა. ჩვენმა სასულიერო პირებმა რაც შეიძლება კარგად უნდა ისწავლონ ინგლისური ენა. მათ ხშირად უნდა იმოგზაურონ დასავლეთში და ყველას გააცნონ საქართველო და მართლმადიდებლობა.

დღეს დასავლეთი სულიერ შიმშილს განიცდის. ჩვენს სასულიერო პირებს ამ მიმართულებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.

***— მაინც რისი გაკეთება შეუძლიათ?***

— ამ სულიერი სიცარიელის ამოვსება და მათი მოქცევა შეუძლიათ.

***— თქვენ ამის გულწრფელად გჯერათ თუ გინდათ, რომ ასე იყოს?***

— ჩვენი სასულიერო პირები თუ კარგად ისწავლიან ინგლისურს, თუ ხშირად ივლიან დასავლეთში და იქაურებთან ექნებათ კონტაქტი, მათ მოქცევასაც შეძლებენ. გითხარით და გავიმეორებ, დასავლეთი დღეს სულიერ შიმშილსა და რადიკალური ისლამის მომძლავრებას განიცდის. ამ ვითარებაში ქართველ სასულიერო პირებს ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.



## ზაალ კასრელიშვილი: „რაც შეიძლება მეტი სასულიერო პირი უნდა წავიდეს დასავლეთში“

რუსეთს ეგონა, რომ მართლმადიდებლობის თემით შეძლებდა საქართველოს დაჭერას, მაგრამ ეს ძაფიც ხელიდან ეცლება, პრორუსულ ძალებზე უკვე დიდი ხანია, რაც დაკარგა გავლენა.

***— რანაირად დაკარგა გავლენა?***

— ჩვეულებრივად. აქ, მართალია, არიან პრორუსული ძალები, მაგრამ ისინი მოსკოვის საქმეს აღარ გააკეთებენ. კრემლს მათ დასაფინანსებლად ფული აღარ აქვს, ესენი კი უფულოდ არაფერს იზამენ. მოსკოვი მიხვდა, რომ არცერთი პრორუსული ძალა არ დათანხმდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დათმობას, ამიტომაც აღარ აკეთებს მათზე აქცენტს, რაღაც პროვოკაციების მოწყობას შეეცდება, მაგრამ ისევე ჩაეშლება, როგორც ეს გასული წლის აგვისტოში ჩაეშალა. კრემლს გადაწყვეტილი ჰქონდა აქ შემოჯლიგინება, მაგრამ არა ხელისუფლების შესაცვლელად, არამედ ამერიკასთან სავაჭროდ. როცა დაინახა, რომ ვაშინგტონთან არაფერი გამოუვიდა, თავისი გეგმა უკან წაიღო.

***— დარწმუნებული ხართ, რომ უკან წაიღო? რუსული მხარე კვლავ ითხოვს ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის გახსნას, გრიგორი კარასინი კი ვაზიანის ბაზით არის შეშფოთებული.***

— რუსეთი ბევრი რამით არის უკვე შეშფოთებული. კარასინიც დიდი ხანია, რაღაც პრეტენზიებს აყენებს. ჩემი აზრით, მის პრეტენზიებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. მას არ აქვს ის დონე, რომელიც საქართველოს ყურადღების მიქცევას იმსახურებს.

***— დონის არქონაში რას გულისხმობთ?***

— ერთი საშუალო რანგის ჩინოვნიკია, ხან რას ამბობს, ხან რას. კრემლს რამე პრეტენზიები თუ აქვს ჩვენ მიმართ, გამოვიდეს პუტინი და მან თქვას.

***— თქვენი აზრით, პუტინს ვინმესი ეშინია და ამიტომ ვერ გამოხატავს ღიად პრეტენზიებს?***

— სწორედაც რომ ეშინია. ძველი დრო აღარ არის და მოსკოვი ნებისმიერ აგრესიაზე სანქციების სახით მკაცრ პასუხს მიიღებს. ეს სანქციები მოუღებს ბოლოს რუსეთს. ჩამოშლა უკვე დაწყებულია, პრორუსული ძალების დასაფინანსებლადაც კი აღარ აქვთ ფული.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ჩრდილოეთიდან საფრთხეს აღარ უნდა ველოდოთ?***

— ჩრდილოეთიდან საფრთხე ყოველთვის მოსალოდნელია, მაგრამ მოსკოვი სერიოზულ პრობლემებს ველარ შექმნის. პატარ-პატარა პრობლემებს რაღაცნაირად გავუმკლავდებით.

***— დარწმუნებული ხართ, რომ გავუმკლავდებით? კრიმინალი ვერ აულაგმავს ქვეყანას, დღე არ გავა, რამე საშინელება არ მოხდეს.***

— ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში კრიმინალი განსაკუთრებულად არის მომატებული. აქ უფრო სხვა მომენტია. აქ შურისძიებასა და ანგარიშსწორებას აქვს ადგილი.

***— ეს კრიმინალი არ არის?***

— კრიმინალია, მაგრამ რაღაც მოტივით ჩადენილი. შურისძიებას ცოტა ხანში სხვა პროცესი მოჰყვება — ღარიბები მდიდრებს დაერევიან. მერე ყველა მიხვდება, რომ ყველამ შეიძლება ყველაფერი დაკარგოს და ქვეყანაზე დაიწყებენ ფიქრს.

ასეთი პროცესები ახალშექმნილ ქვეყანას ახასიათებს, განსაკუთრებით — პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს. ეს ერთგვარი სენია, რომელიც უნდა მოვიხადოთ.

***— 27 წელია, დამოუკიდებლები ვართ და რით ვერ მოვიხადეთ ეს სენი?***

— იმიტომ ვერ მოვიხადეთ, რომ ეს პროცესი ბოლომდე ვერასოდეს მივიყვანეთ. 1991 წელს მოსულმა ხელისუფლებამ ვერ მოასწრო დამნაშავეების გასამართლება. გადატრიალების შემდეგ შევარდნაძე მოვიდა და არც მას დაუსჯია დამნაშავეები.

2003 წლის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ, დამნაშავეების დასჯის ნაცვლად, კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ფული წაართვა და ჯიბეში ჩაიდო. მერე ეს ხალხი „ქართულ ოცნებას“ მიეკედლა. დაზარალებულები ისევ დაზარალებულებად რჩებიან, დამზარალებლებს კი არავინ ეხება, რაც ხალხში შურისძიების წყურვილს აჩენს. სანამ სამართალი არ აღდგება, არც მშვიდობა იქნება.

---

# „100 ახალი ავტობუსის შესაძენად ბიუჯეტიდან 50 მილიონი ლარი დაიხარჯება“

— 100 ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსის შესაძენად ბიუჯეტიდან 50 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ამის შესახებ თბილისის ვიცემერმა ირაკლი ხმალაძემ ჟურნალისტებს მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. მისივე თქმით, აღნიშნულის გამო ბიუჯეტის ცვლილების პროექტი უკვე მომზადებულია.



— მოსახლეობას დავპირდით წინასაარჩევნოდ, რომ მოხდებოდა ავტობუსების ჩანაცვლება. 700 ახალი ავტობუსის შემოყვანა იგეგმება მომდევნო 4 წლის განმავლობაში, თუმცა, როგორც იცით, მერიის დამტკიცებულ ბიუჯეტში არ იყო ავტობუსებისთვის თანხა გათვალისწინებული.

ვაწარმოეთ სამუშაოები და შევძელით ბიუჯეტის კორექტირება. მომზადებული გვაქვს პროექტის სახით, სადაც დაახლოებით 50 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი ავტობუსების შესაძენად. ეს იქნება 100 ახალი ავტობუსი, ეკოლოგიურად სუფთა, ევროპული სტანდარტის შესაბამისი, რომელიც ჩაანაცვლებს ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ავტობუსებს, როლითაც მოსახლეობას საშუალებას მივცემთ კომფორტულად გადაადგილდნენ და ასევე მოხდეს გარემოს ნაკლები დაბინძურება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები მწარმოებლებთან, რომ დადგინდეს რა ტიპის, ზომის და რა ფასიანი ავტობუსების შესყიდვა უნდა მოხდეს იმ სტანდარტებში, რომელიც გვჭირდება და დავპირდით მოსახლეობას. როგორც კი დასრულდება ეს პროცესი, დავიწყებთ სატენდერო პროცედურებს. ვფიქრობთ, რომ წლის ბოლომდე თბილისში იქნება 100 ახალი ავტობუსი, — განაცხადა ხმალაძემ.

**ბპნ**

---

# ისრაელი კრიპტოვალუტას ქმნის, რომელიც ბრილიანტით იქნება გამყარებული

მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი, ისრაელის ბრილიანტების საფონდო ბირჟა, საკუთარი კრიპტოვალუტის შექმნას აპირებს, რომელიც ბრილიანტით იქნება გამყარებული.



გამოცემის ცნობით, ბირჟა ორი სახის კრიპტოვალუტას გამოუშვებს — ჩარატ-ს და ჩუტ-ს. ისინი ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, მაისიდან იქნება.

ჩარატ-ი განკუთვნილი იქნება ინვესტორებისა და საზოგადოების ფართო წრისთვის, ხოლო ჩუტ-ი ბრილიანტებით მოვაჭრეებისთვის.

24 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ ისრაელის ფინანსთა სამინისტრო და ცენტრალური ბანკი საკუთარი ციფრული ვალუტის შექმნის შესაძლებლობას განიხილავენ.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ბიტკოინის კურსი მკვეთრად ცვალებადია და არამდგრადობით ხასიათდება. 2017 წლის დეკემბერში, პიკზე, ბიტკოინის კურსი 20 ათას დოლარს აღწევდა. ამის შემდეგ კრიპტოვალუტამ გაიაფება დაიწყო. მისი ფასის ვარდნას უკავშირებენ მათ შორის იმ შეზღუდვებს, რომლებსაც ბიტკოინის წინააღმდეგ ჩინეთის ხელისუფლება აწესებს.

ჩინეთის მთავრობამ აკრძალა ქვეყანაში ბიტკოინის მაინინგი (შექმნა), ასევე გადაწყვიტა ყველა იმ ვებგვერდის დაბლოკვა, რომელიც ციფრული ვალუტით ვაჭრობასთანაა დაკავშირებული.

**კომერსანტი**

# „მოსამართლეს შეეძლო, ფარმან ჯეირანლი 200.000 ლარით დაეჯარიმებინა, მაგრამ 6 წელი მიუსაჯა“

## ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი „ლანცეტის“ დირექტორის საქმეში პოლიტიკურ მოტივებს ხედავს

ნონა ცაბაძე




**კლინიკა „ლანცეტის" დირექტორი ფარმან ჯეირანლის სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ჯეირანლი თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო. სხვა მოლოდინი ჰქონდა მის ადვოკატს, რომელიც მიიჩნევდა, რომ სასამართლო მისი კლიენტის უდანაშაულობას აღიარებდა და გაათავისუფლებდა.**

ფარმან ჯეირანლი წარდგენილი ბრალდების ერთ ეპიზოდში გამტყუნდა, ხოლო სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვაში გამართლდა.

„ახალი თაობა“ ფარმან ჯეირანლის ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს ესაუბრა.

***– ბატონო გელა, სასამართლომ ფარმან ჯეირანლის 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა. თქვენ ელოდით, რომ სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოიტანდა. რატომ არ გამართლდა თქვენი მოლოდინი და რატომ ცნეს ჯეირანლი დამნაშავედ?***

– ჩვენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ჩავიბარებთ ორი კვირის ვადაში, თუმცა, როგორც მოსამართლემ განმარტა, ის ცნო დამნაშავედ იმიტომ, რომ მან მოატყუა პაციენტები, რომ არ ჰქონდა ნებართვა მიცემული იმ მომენტში ოპერაციის გაკეთებაზე და ამ მოტყუებით მან მიიღო რაღაც ფულადი თანხა. ეს ჩვენ მიგვაჩნია სრულ აბსურდად, უსაფუძვლო გადაწყვეტილებად, ვინაიდან სასამართლო სხდომებზე არ გამოკვეთილა ერთი პირდაპირი მტკიცებულებაც კი ფარმან ჯეირანლის წინააღმდეგ. ეს არის სრული აბსურდი!

***– რატომ?***

– პირველი პაციენტის, კეკელიძის, შემთხვევაში გაიარა ტრანსპლანტაციის საბჭოს კომისია და უარი უთხრეს მხოლოდ იმის გამო, რომ უნდა დადასტურებულიყო, რომ პაციენტი და დონორი იყვნენ ნამდვილად მამა-შვილი. ეს პრობლემა წარმოიშვა იმიტომ, რომ შვილს სხვა გვარი ჰქონდა. ის ამერიკის მოქალაქე იყო. პაციენტი თავს იკლავდა, ნამდვილად მამა-შვილი ვართო და, რაც მთავარია, ოპერაციიდან ორი დღის შემდეგ მართლაც მოვიდა პასუხი, რომ ისინი იყვნენ მამა-შვილი. ედავებიან იმაში, რომ ფორმალური მხარე არ დაიცვეს და ფორმალურად ხელის მოწერა არ ჰქონდათ. ეს არის ანეკდოტი და კომედია.

***– მეორე პაციენტზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება მეორე პაციენტს, ჩუბინიძესთან დაკავშირებით ასევე გაგზავნილი ჰქონდა მას, რომ სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა, რადგან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ნებართვის მიღება იგვიანებდა, ამიტომ ექიმმა გადაწყვიტა, რომ ოპერაცია აუცილებელი იყო, სხვა შემთხვევაში ადამიანი დაიღუპებოდა. ჩატარდა ეს ოპერაცია და ამის გადაწყვეტილება მიიღო ტრანსპანტოლოგმა და არა – ფარმან ჯეირანლიმ. ფარმან ჯეირანლის არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რა ვითარება იყო, რამდენად მძიმე იყო და რამდენად სასწრაფო იყო ოპერაცია. ეს უნდა ეთქვა მხოლოდ ტრანსპანტოლოგს, რომელმაც ეს თქვა და ფარმან ჯეირანლი ამას ვერ შეამოწმებდა.

***– ითქვა, რომ პროკურატურამ ამ ტრანსპანტოლოგის პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენა.***

– პროკურატურამ ამ გამოძიების დაწყებიდან მეცხრე თვეს, როდესაც უკვე შეატყო, რომ ფარმან ჯეირანლის მიმართ, უბრალოდ, გამამტყუნებელი განაჩენის დაყენების საფუძველიც კი არ არსებობდა, წაუყენა ბრალი, რომ სასამართლოსთვის ეჩვენებინა, იმასაც ვუყენებთ ბრალსო.

ჩვენ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვამბობდით, რომ აქ არაფერი დანაშაული არ არის, მაგრამ, თუ ვინმემ რამე დააშავა, ეს შეიძლება მოჰკითხონ თვითონ იმას, ვინც გადაწყვიტა ოპერაციის ჩატარება და ვინც ჩაატარა ოპერაცია. აქ ადმინისტრაციული ხელმძღვანელი რა შუაშია?! სხვა ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახეს და წაუყენეს ბრალი პროფესორს, ტრანსპანტოლოგს, რომელიც, როგორც ჩანს, უნდათ, გამოიყენონ იმისთვის, რომ ბრალი დასდოს ჯეირანლის და ყველაფერი ამას გადმოაბრალოს.

***– რას აპირებს დაცვის მხარე, როგორია თქვენი პოზიცია?***

– აქვე ერთსაც ვიტყვი: ფარმან ჯეირანლი თავიდანვე აცხადებდა, რომ ეს არის პოლიტიკური შეკვეთა. ჩვენ ყოველთვის თავს ვიკავებდით ამისგან და ვეუბნებოდით, დაველოდებოდით სასამართლოს გადაწყვეტილებას, რადგან მისი ობიექტურობის იმედი გვქონდა.

***– რატომ პოლიტიკური, სად იკვეთება ეს?***

– გეტყვით, სად იკვეთება. აფგან მუხთარლისთან, კიდევ სახალხო ფრონტის თავმჯდომარესთან, რომელიც აზერბაიჯანში დააკავეს და კიდევ სხვა ოპოზიციონერებთან იყო გაიგივებული ფარმან ჯეირანლი.

ჩვენ წარვადგინეთ არაერთი სტატია, რომლებიც იწერებოდა აზერბაიჯანულ პრესაში, რომ ფარმან ჯეირანლი აფინანსებს აზერბაიჯანულ ოპოზიციას. ჩვენ სულ ვამბობდით, რომ პოლიტიკასთან ჯეირანლის შეხება არ აქვს, თუმცა მათთან კონტაქტი ნამდვილად ჰქონდა, როგორც პაციენტებთან. თვითონ ირჯალამ კაზიმიც, ის პროფესორი, რომელთანაც პირადად ჩავედი ბაქოში, ამ განწყობებს არ მალავდა. ჯერ ძლივს შევძელი მასთან გასაუბრება, მემალებოდა და მერე მითხრა, პროკურატურა არ მაძლევს საშუალებას, რამე ვთქვა, ამიტომ ვერ მოგცემთ ჩვენებასო. აქედანაც გამოჩნდა, რომ აზერბაიჯანის პროკურატურის ინტერესი იყო და ჩვენების მიცემის საშუალებას არ აძლევდა ტრანსპანტოლოგს.

***– ანუ პოლიტიკური სარჩული იკვეთება?***

– თანდათან ვრწმუნდები, რომ აქ ნამდვილად პოლიტიკური შეკვეთაა. ამ მოსამართლისგან ნამდვილად არ ველოდი, რომ პოლიტიკურ შეკვეთას ექვემდებარებოდა.

ვთქვათ, მოსამართლემ მართლაც ჩათვალა, რომ იქ დანაშაულია ჩადენილი. მას კანონი საშუალებას აძლევდა, შეეფარდებინა ჯარიმა. რა აუცილებლობას წარმოადგენდა ის, რომ 60 წლის პროფესორი, აკადემიკოსი, ჯანდაცვის მინისტრად ნამუშევარი აზერბაიჯანში, 12 წელი მოსკოვის კლინიკის ხელმძღვანელი, 6 წლით გაემწესებინა ციხეში, როდესაც თვითონ კანონი აძლევდა საშუალებას, თუნდაც 100 ან 200 ათასი ლარით დაეჯარიმებინა!

მოსამართლემ მშვენივრად იცოდა, რომ 30 მილიონი აქვს ჩადებული ამ კაცს კლინიკა „ლანცეტში“ და ამ ჯარიმის გადახდა არ გაუჭირდებოდა. რადგან მოსამართლემ ესეც არ გააკეთა, როგორც ჩანს, იყო შეკვეთა, რომ სამაგალითოდ დასჯილიყო ფარმან ჯეირანლი, როგორც ოპოზიციის მხარდამჭერი, სწორედ იმიტომ, რომ ეს შეკვეთა აზერბაიჯანიდან მოდიოდა.

სიმპტომატურია, რომ როგორც აფგან მუხთარლის, ისე ჯეირანლისაც 6 წელი მიუსაჯეს.

***– გასაჩივრებას აპირებთ?***

– რა თქმა უნდა, ვაპირებთ, თუმცა ახლა უკვე წინა პლანზე წამოვწევთ პოლიტიკურ მოტივს, რადგან სამართლებრივი ნიშნით პრაქტიკულად დანაშაული არ არსებობს. გაოგნებული ვარ. ძალიან იშვიათად შემხვედრია საქმე, სადაც ადამიანის უდანაშაულობა ასე ზედაპირზე დევს.

# ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს




ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს. ლევან ტოგონიძის ადგილზე გაგა კირკიტაძე დაინიშნა. არსებული ინფორმაციით, გაგა კირკიტაძე თანამშრომლებს ოფიციალურად უკვე წარუდგინეს.

მას წლების განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. იგი 2017 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს უფროსი იყო.

განხორციელებულ საკადრო ცვლილებას შსს-ში ადასტურებენ, თუმცა არ აკონკრეტებენ, რა პოზიციაზე გადაიყვანეს ქვემო ქართლის პოლიციის ახლა უკვე ყოფილი უფროსი ლევან ტოგონიძე.

# გარდაბნის საკრებულოს დეპუტატი დააკავეს




– გარდაბნის საკრებულოს დეპუტატი გიორგი ძმანაშვილი პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავა, – აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურის პრესსამსახურში დაუდასტურეს.

– გიდასტურებთ, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დაკავებულია გარდაბნის საკრებულოს წევრი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, – აღნიშნეს მთავარ პროკურატურაში. სხვა დეტალები ამ ეტაპზე არ კონკრეტდება.

გიორგი ძმანაშვილი გარდაბნის საკრებულოში „ქართული ოცნების“ პარტიული სიით არის გასული. 332-ე მუხლის პირველი ნაწილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

# ილჰამ ალიევი: „ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ერევანი“



აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანმა ერევანი უნდა დაიბრუნოს.

– ერევანი ჩვენი ისტორიული მიწაა და ჩვენ, აზერბაიჯანელებმა, უნდა დავიბრუნოთ ეს მიწები. ეს ჩვენი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზანია და ეტაპობრივად უნდა დავუახლოვდეთ მას, – თქვა ალიევმა მმართველი პარტიის შეკრებაზე.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მათი პოლიტიკა ისტორიულ მიწებზე იქნება ორიენტირებული.

– მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ისტორიული მიწები. მომავალში ეს უნდა იყოს ჩვენი მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება. ჩვენი ისტორიული მიწებია ერევნის სახანო, ზენგეზური, გეიჩე – ამის შესახებ ჩვენმა ახალგაზრდა თაობამ, მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, – თქვა ალიევმა.

მანამდე მმართველმა პარტიამ ილჰამ ალიევი თავისი პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა. რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში 11 აპრილს გაიმართება.

**მედიანიუსი**

# ნაძალადევში 40-მდე სკოლის მოსწავლემ იჩხუბა

## ჩხუბში სკოლა „ლამპრის“ მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ

ნონა ცაბაძე




ნაძალადევის რაიონში სკოლის მოსწავლეებს შორის დაპირისპირება მოხდა. ინციდენტში კერძო სკოლა „ლამპრის“ მეათე კლასის ორი მოსწავლე მონაწილეობდა. როგორც თვითმხილველები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, ჩხუბში დაახლოებით 40-მდე მოზარდი მონაწილეობდა. გარდა სკოლა „ლამპრის“ მოსწავლეებისა, ვინ მონაწილეობდა ამ ინციდენტში, ჯერჯერობით დაუდგენელია. მოსწავლეებს შორის დაპირისპირება გაკვეთილების დასრულების შემდეგ სკოლასთან მდებარე სუპერმარკეტ „მითანას“ წინ მოხდა. აქვე მდებარეობს მე-12 საჯარო სკოლაც.

„ახალი თაობა“ კერძო სკოლა „ლამპრის“ დირექტორ დარეჯან ქადაგიძეს ესაუბრა.

***– ქალბატონო დარეჯან, რა მოხდა, როგორ წარმოიშვა ინციდენტი?***

– ჩვეულებრივად დასრულდა ექვსი გაკვეთილი. მეათე კლასის რამდენიმე მოსწავლემ შედარებით გვიან დატოვა სკოლა, რადგან მათ დამატებით ამეცადინებდა ფიზიკის პედაგოგი. დაახლოებით შუადღის სამ საათზე დატოვეს სკოლა. ალბათ 10 წუთის გასული იქნებოდნენ, რომ მე-12 სკოლის მანდატურმა ნაცემი ამომიყვანა ერთ-ერთი ჩვენი მოსწავლე.

***– რა დაზიანებები აღენიშნებოდა?***

– ხელი მომხვდაო, მითხრა, ტუჩი ჰქონდა გახეთქილი, სისხლი მოსდიოდა და თავბრუ მეხვევაო, მითხრა, თავშიც მომხვდა რაღაცო. მაშინვე დავურეკეთ სასწრაფოს, დავურეკეთ ბავშვის მშობელს და ბავშვი გადაიყვანეს იაშვილის კლინიკაში.

***– ითქვა, რომ თითქოს ცივი იარაღიც გამოიყენეს. ამაზე რა ინფორმაცია გაქვთ?***

– არა, ამას არ ვადასტურებ. მსგავსი არაფერი ყოფილა. ბავშვს ტუჩი ჰქონდა გახეთქილი, აშკარად ხელი ჰქონდა მოხვედრილი.

***– თქვენი სკოლის მოსწავლეების გარდა, ვინ მონაწილეობდა ამ ინციდენტში? აქ კიდევ ორი სკოლაა. მათი მოსწავლეებიც იყვნენ?***

– მე-12 სკოლის მოსწავლეები, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ მონაწილეობდნენ ამ ინციდენტში, უბრალოდ, ამ სკოლის მანდატური ჩაერია, რომ სიტუაცია განემუხტა და ჩემი მოსწავლეც მან შემომიყვანა. თუ ვინ იყვნენ დანარჩენები, წარმოდგენა არ მაქვს. გაირკვევა ყველაფერი. როგორც მე მითხრეს, გაკვეთილების დასრულებამდეც ყოფილან მოსწავლეები სკოლის წინ. ჩემი მოსწავლეები გვიან გავიდნენ. არ ვიცი, რომელი სკოლის ბავშვები იყვნენ. მე-12 სკოლის მანდატურს უკითხავს, რატომ იკრიბებით სკოლის წინ, რა გინდათო? ბავშვებს უთქვამთ, ფეხბურთის თამაშს ვაპირებთ და დანარჩენებს ველოდებითო. როგორც მანდატური გვიყვება, სიტუაცია არ მოეწონა, უკან გაჰყვა ამ ბავშვებს და სწორედ მაშინ ნახა ტუჩგახეთქილი ჩვენი მოსწავლე.

# მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე: „ხეების დარგვის შემდგომ მათი მოვლა უფრო მნიშვნელოვანია“

შერჩეული და დამტკიცებულია 50 ჯიშის ხე, რომლებითაც თბილისი უნდა გამწვანდეს. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. დედაქალაქის მერის განცხადებით, აღნიშნული ხეები თბილისის არქიტექტურისა და კლიმატის გათვალისწინებით შეირჩა.

– პირველად ვამტკიცებთ აქტს, რომლითაც განისაზღვრება 50-ზე მეტი ჯიშის ხე და რომლითაც მოხდება თბილისის სამომავლო გამწვანება. ეს ხეები შერჩეულია თბილისის არქიტექტურისა და კლიმატის გათვალისწინებით. მისი შერჩევის პროცესში ჩართული იყო სპეციალისტების ფართო სპექტრი, მათ შორის არასამთავრობო სექტორი, დებს სპეციალისტი. ირაკლი როსტომაშვილი დედაქალაქის მერიასა და საკრებულოში ამ მიმართულების სპეციალისტების სიმცირეზეც საუბრობს და აცხადებს, რომ დედაქალაქის მთავრობაში კვალიფიციური კადრები არ არიან, ვინც თბილისის გამწვანების საქმეზე იმუშავებს.

– მოვლა, ტარიფი, რომელი წყლით, ვინ აკეთებს, ეს არის სამსჯელო და ამაში უნდა იყვნენ საკრებულოში პროფესიონალები. ვინცაა დღეს მათ არ იციან. როგორ შეიძლება, ვისაუბროთ გამწვანებაზე, ტრანსპორტზე, ურბანულ საკითხებზე, რომ „მენაშენეთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს არ მქონოდა შეხვედრა მათთან? – შესაბამისად, მოვლის საკითხი გაურკვეველია. ვიცი, რომ სადარ-



– განაცხადა კახა კალაძემ.

– მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილი გამწვანების საკითხზე თბილისის მერის ინიციატივას დადებითად აფასებს, თუმცა, სპეციალისტს ამ ინიციატივასთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები და კითხვები აქვს. ირაკლი როსტომაშვილი მთავარ პრობლემას განაშენიანების შემდეგ პროცესში, ხეების მოვლა-პატრონობაში ხედავს.

– ნებისმიერ მსგავს აქტივობას მივესალმები, რომელიც გამწვანებასა და ეკოლოგიას ეხება. უბრალოდ, ჩემთვის არსებობს გარკვეული კითხვები, როგორ შეიძლება შემდეგ მათი მოვლა. დავრგეთ, გავაშენეთ, მერე ვინ უვლის? ეს საკითხი არის ძალიან აქტუალური და გაურკვეველი. დენდროლოგების რეკომენდაციებსაც თუ გაითვალისწინებენ, კარგი იქნება. გამწვანება იწყება ხის დარგვის შემდეგ. მორწყვა, მოვლა, შეწამვლა და ა.შ. – აცხადებს როსტომაშვილი.

სპეციალისტის თქმით, ერთ-ერთი სერიოზული საკითხია ხეების მორწყვაც, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ირაკლი როსტომაშვილი დედაქალაქის მერს ამ მიმართულებით მუშაობასაც ურჩევს.

– სერიოზული საკითხია, რომელი წყლით უნდა მოირწყოს, ტექნიკური წყალი არ არსებობს თბილისში. კარგია რომ კალაძე ამ მიმართულებით გააქტიურდა, მაგრამ ვურჩევ, რომ ამ საკითხზეც იმუშაოს, – აცხადებს სპეციალისტი.

მისივე თქმით, 2002 წლიდან დღემდე თბილისში დაახლოებით 60 ჰექტარი ტერიტორია უნდა გამწვანებულიყო, სათანადოდ რომ მოევლოთ დარგული ხეებისათვის.

– გამწვანებული უნდა გვქონდა დღეს თბილისში დაახლოებით 4 ვაკის პარკის ფართობის ტერიტორია, რომ მოევლოთ და მარტო ჯოხი არ ჩაერჭოთ. მოვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დარგვა, – აცხაბაზოებში ლიფტის ფულს ვერ აგროვებენ, მორწყვის ფულს გადაიხდის ვინმე? – ეს იქნება ტყუილი სადღეგრძელო თბილისისთვის, თუ ის საკითხები არ გადაწყდა, რაზეც მე ვისაუბრე, – აცხადებს „მენაშენეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე.

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, მშენებლობის ნებართვისთვის სავალდებულო იქნება ტრანსპორტის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნაც.

„რაც შეეხება ტრანსპორტს, ამ მიმართულებითაც გვაქვს ცვლილებები – ადრე თუ მშენებლობის ნებართვა ისე გაიცემოდა, რომ არ იყო გათვალისწინებული ტრანსპორტის ნაკადები, ამ შემთხვევაში ტრანსპორტის სამსახური ადრეულ ეტაპზევე ჩაერთვება განაშენიანების რეგულირების გეგმისა და მშენებლობის ნებართვისთვის სავალდებულო იქნება მის მიერ გაცემული დასკვნა„, – აცხადებს კალაძე.

ირაკლი როსტომაშვილი დედაქალაქის მერს რეკომენდაციას ტრანსპორტის რეგულირების საკითხშიც აძლევს. მისივე თმით, პიკის საათებში ქალაქში მძიმე ტექნიკის მუშაობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის, რომელიც უნდა მოგვარდეს.

– როცა ვიყავი თბილისის მთავარი არქიტექტორი, თბილისის ავტოინსპექციაში უნდა შეთანხმებულიყო ნაკადები და ა.შ. ჩვენ რითაც ვხელმძღვანელობდით და რაზეც დღეს მერი საუბრობს, ეს ყველაფერი გათვალისწინებული იყო ადრეც. უბრალოდ, 2000 წლის შემდეგ ეს საკითხები ამოაგდეს. პირველ რიგში, უნდა შეთანხმდეს მშენებლობის პერიოდში მძიმე ტექნიკის მოძრაობა, – განაცხადა სპეციალისტმა.

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, მწვანე და ეკოლოგიურად მდგრადი ურბანული განვითარებისკენ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. მერია ცვლილებათა პაკეტს საკანონმდებლო დონეზე უახლოეს დღეებში წარადგენს.

**კომერსანტი**

# „ქობულეთის შემოვლით გზაზე გზის საფარსა და ხიდს შორის დონე აცდენილია“



„ხარვეზებია ქობულეთის შემოვლით გზაზე, რომელიც ჯერ არ გახსნილა,“-ამის შესახებ „აფბას“ პრეზიდენტმა შოთა გულბანმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ ისაუბრა.

კერძოდ, შეინიშნება დონეების აცდენა გზის საფარსა და ხიდს შორის, რამაც ავტომობილის სწრაფად მოძრაობის შემთხვევაში შესაძლოა, სერიოზული პრობლემა შექმნას.

გარდა ამისა, როგორც გულბანი აღნიშნავს, პროექტის მიმდინარეობისას გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისითაც იყო პრობლემები.

– კერძოდ, კომპანია „სინოჰიდრომ“ ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფელ ქვიტირში განახორციელა გრუნტის მოპოვებითი სამუშაოები. კერძოდ, იქ მოპოვებულ ქვა-ღორღს იყენებდნენ ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის პროცესში. შედეგად კი ტერიტორიაზე გაჩნდა ჭაობი, სადაც შესაძლოა, ადამიანი ჩავარდეს და მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს, – აღნიშნა გულბანმა.

**ბპნ**

# ირმა ჭკადუა: „მე არ მითქვამს, რომ ჩემს კლიენტს მხოლოდ იმიტომ უნდა შეჰფარდებოდა გირაო, რომ კარგი მოსწავლეა“

ნონა ცაბაძე

**ადვოკატი ირმა ჭკადუა იცავს იმ მოსწავლეს, რომელსაც ბრალად 35-ე სკოლის 2 მოსწავლის დაჭრა ედება. „ახალი თაობა“ ირმა ჭკადუას ესაუბრა.**



***– ქალბატონო ირმა, თქვენ იცავთ იმ მოსწავლეს, რომელსაც ბრალად 35-ე სკოლის 2 მოსწავლის დაჭრა ედება. საზოგადოებაში გაღიზიანება გამოიწვია თქვენმა განცხადებამ, როდესაც აღნიშნეთ, რომ თქვენი კლიენტი წარმატებული მოსწავლეა და სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა.***

– ჩემი პასუხი კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი. მე არ მითქვამს, რომ სკოლაში წარმატებული ბავშვი იყო და მხოლოდ ამიტომ უნდა შეჰფარდებოდა გირაო. მე ვთქვი, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ინციდენტი სხვა ინციდენტებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ აქ არ დადგა მძიმე შედეგი და, დიდება უფალს, ბავშვებს არ დასჭირდათ ქირურგიული ჩარევა.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თვითონ გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, თვითონ მიუთითა დანაშაულის იარაღზე, ითანამშრომლა გამოძიებასთან, აღიარა და მოინანია დანაშაული, რომელიც ჩაიდინა.

აქედან გამომდინარე, ყველა წინაპირობა არსებობდა იმისთვის, რომ სასამართლოს არ გამოეყენებინა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. ბევრი ტალახი მესროლეს და პრაქტიკულად კრიტიკის ქარცეცხლში გამატარეს იმის გამო, რომ ჩემი განცხადება კონტექსტიდან ამოგლეჯილად გაშუქდა. მე ვსაუბრობდი კომბინაციაში და არ მითქვამს, თითქოს მხოლოდ იმიტომ უნდა შეჰფარდებოდა გირაო, რომ ის კარგი მოსწავლეა.

***– რატომ შეეცვალა თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს მუხლი? რატომ დაუმძიმდა?***

– მე ვფიქრობ, რომ ეს იყო სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯი პრევენციის კუთხით, სამაგალითოდ დასჯისკენ, რათა სხვამ არავინ გაბედოს მსგავსი ქმედება. სხვა ლოგიკა ამაში არ არის, ვინაიდან გამოძიება დაწყებული იყო 117-ე მუხლით, რაც ნიშნავს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, თუმცა მძიმესთან მიმართებით ვერც მე, ვერც სასამართლო და ვერც ბრალდების მხარე ვერ იმსჯელებდა და ჯერ კიდევ ვერ იმსჯელებს, რადგან არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა დაზიანების ხარისხთან დაკავშირებით.

მე დღესაც მიმაჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი, უკანონო და არგუმენტების გარეშე. როდესაც ბავშვს გაუჩნდება არასამართლიანობის განცდა, მერწმუნეთ, ეს ბუმერანგივით შემოგვიბრუნდება! როდესაც ბავშვმა გაიაზრა, რომ მან ჩაიდინა დანაშაული არა იმ ხარისხის, რომელსაც მას სახელმწიფო ედავება, ეს ბავშვი უფრო გაბოროტებული გამოვა ციხიდან!

***– გაასაჩივრეთ გადაწყვეტილება?***

– დიახ, ჩვენ გავასაჩივრეთ აღნიშნული გადაწყვეტილება. ჯერ პასუხი არ გვაქვს, მაგრამ არ ვიმედოვნებ, რომ სააპელაციო სასამართლო, რომელიც პრაქტიკულად არაფერს აკეთებს, შეცვლის გადაწყვეტილებას.

სასამართლოს მხრიდან ეს ამ სამაგალითო მოქმედებების უსუსური მცდელობაა. მთავარია ზოგადად ბრალდებულებისა და თუნდაც მსჯავრდებულების რესოციალიზაცია. მათ უნდა გააზრონ, რა მოხდა, აღიარონ, მოინანიონ და არ არის აუცილებელი, ამისთვის ადამიანები ციხეში გამოკეტონ.

# „აფხაზეთის პარტიებში ჯაშუშები არიან შეგზავნილი. ისინი დიდ ფულს იღებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ოკუპირებულ აფხაზეთში მორიგი პოლიტიკური კრიზისის ნიშნებია – ოპონენტები ფაქტობრივი რეჟიმის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. მათ საწინააღმდეგო რადიკალური პოზიციას გამოხატავენ ხელისუფლების მომხრეები.**




კრიზისი წარმოშვა დე ფაქტო პრეზიდენტის მიერ „ტყის ძმების“ წევრ გიორგი ლუკავას შეწყალებამ და თბილისისათვის გადმოცემამ.

ეს აღმოჩნდა საბაბი ოპოზიციის გასააქტიურებლად. მისი დიდი ნაწილი ხაჯიბას წინააღმდეგ შეიკრა. ოპოზიციის ლიდერები არ მალავენ, რომ უნდათ ისეთი სიტუაციის შექმნა, როცა ხაჯიმბა ვადამდე საკუთარი ნებით გადადგება.

ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ შეწყალება-გადაცემის პროცესი ფარულად მოხდა. საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელმა ხაჯიმბამ ხალხს განუმარტა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ მოძმე რესპუბლიკის მეთაურის თხოვნით იმოქმედა. მოხდა შეწყალება და პატიმართა გაცვლა, რომლის შედეგად ცხინვალში დაბრუნდნენ იქაური მსჯავრდებულები.

დაარღვია თუ არა ამ პროცესში კანონი ხაჯიმბამ, ეს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, სიტუაცია კი უკვე აირია. საოკუპაციო რეჟიმის მომხრეები ხალხს მოუწოდებენ, არ აჰყვნენ ოპოზიციას.

ხაჯიმბას მხარდამჭერი იური კურასკუა ხალხს უხსნის, რომ ოპოზიციის მიზანია, არ მისცეს პრეზიდენტს უფლებამოსილების ბოლომდე შესრულების საშუალება და ის საამისოდ ყველა საშუალებას იყენებს.

– თან, ეს ხდება იმ წელს, როცა ჩვენი გამარჯვებიდან 25 წელიწადი სრულდება. ოპოზიციას წყენა და შურისძიება ამოძრავებს, – აღნიშნავს კურასკუა.

მისი თქმით, ოპოზიცია ზეწოლას ახდენს პრეზიდენტსა და სახელმწიფო აპარატზე. ერთი მხრივ, კარგია, რომ ამ ძალებმა გაამჟღავნეს საკუთარი განზრახვები. მეორე მხრივ, სახიფათოა, რომ ისინი ხალხს მოუწოდებენ არასტაბილურობისკენ, საგანგებო სიტუაციის შექმნისა და ხვალინდელი დღის იმედის დაკარგვისაკენ.

კურასკუა იმედოვნებს, რომ ოპოზიცია ხალხის დიდ მასას ვერ აიყოლიებს. ადამიანების უმრავლესობას არ სურს კატაკლიზმები და ფიზიკური შეჯახებები. ჩაშლილმა რეფერენდუმმა პრეზიდენტის გადაყენების საკითხზე აჩვენა ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ.

საზოგადოებას მეცნიერი ალექსანდრე ჭამაგუაც აფრთხილებს. იგი აფხაზეთის პოლიტიკურ პარტიებში მტრის მიერ შეგზავნილ პირებზე საუბრობს:

– ომის მდგომარეობიდან დღემდე ვერ გამოვსულვართ. მტერი სარგებლობს ჩვენი არამდგრადი მდგომარეობით. ერთი პარტია უპირისპირდება მეორეს, მათ შორის მუშაობენ ჯაშუშები. ისინი ჩვენი ყველაზე საშიში მტრები არიან. ჯაშუშები საქმიანობენ აფხაზეთის შიგნით, მაგრამ ხალხისთვის უხილავნი არიან. ჯაშუშები ასრულებენ პოლიტიკურ შეკვეთებს და ამისათვის დიდ ფულს იღებენ.

მისი თქმით, პრეზიდენტმა ლუკავას შეწყალებისას ანგარიში გაუწია მოძმე ოსი ხალხის თხოვნას.

– ჩვენ ოსი ძმების წინაშე ვალში ვართ. ისინი ქართველებთან ომის დროს ჩვენთან იბრძოდნენ, – აღნიშნავს მეცნიერი.

გიორგი ლუკავას თემის გარდა, აფხაზეთში ვნებათაღელვას პასპორტიზაცია იწვევს.

იქ მცხოვრები ქართველები ამ მხრივ ყველაზე დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ ბინადრობის მოწმობებს სთავაზობენ. ამჟამად მღელვარებას იწვევს დანარჩენი არააფხაზების პასპორტიზაციის პროცედურა. საპასპორტო სამსახურები ბევრ მათგანს უპასპორტოდ ტოვებენ. კანონის თანახმად, ამ ადამიანებს მოეთხოვებათ დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს მათ ცხოვრებას აფხაზეთში 1994-1999 წლებში.

იურისტები ამ მდგომარეობას სამართლებრივ ნონსენსსა და დისკრიმინაციას უწოდებენ. მათი აზრით, ერთმანეთს ეწინააღმდეგება პირველად და მეორედ მიღებული კანონები აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ. ეს გაუგებრობა ხდება იმის მიზეზი, რომ არააფხაზებს არ აძლევენ პასპორტებს, რაც რესპუბლიკაში დაძაბულობის კიდევ ერთი მიზეზი ხდება.

# კომერციული ბანკები ეროვნული ბანკის დავალებას არ ასრულებენ



— ჩემი კლიენტების უმრავლესობა სესხის ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით ინფორმირებული არ არის.

ამის შესახებ იპოთეკით დაზარალებულთა საქმეებზე მომუშავე ადვოკატმა მარიკა არევაძემ განაცხადა.

— მათ უმრავლესობას ხელშეკრულებაში უდევს პირობა, რომლის შესაბამისადაც, იმ შემთხვევაში, თუ აუქციონზე რეალიზებული ქონება სესხის დავალიანების დაფარვას არ ეყოფა, დავალიანების ამოღება მთელ დანარჩენ უძრავ-მოძრავ ქონებასა და შემოსავალზე გავრცელდება. სამართლებრივად, ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ადამიანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ნების გამოვლენა გონივრული განსჯის შედეგად მოახდინოს, რაც სამწუხაროდ, არ ხდება, — განაცხადა არევაძემ.

როგორც იპოთეკით დაზარალებულთა საქმეებზე მომუშავე ადვოკატმა აღნიშნა, ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს დაავალა, რომ კლიენტებს ხელშეკრულების პირობები გააცნონ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება.

მარიკა არევაძემ ასევე აღნიშნა, რომ როცა მოქალაქე ბანკში ხელშეკრულებას კითხულობს, ან მის წასაკითხად ადვოკატი მიჰყავს, ბანკის თანამშრომლების მხრიდან დაცინვის ობიექტი ხდება, მაგრამ ამის მიუხედავად, მსესხებლებმა ხელშეკრულება აუცილებლად უნდა წაიკითხონ, ხოლო თუ ერიდებათ, იურიდიული კონსულტაცია სხვადასხვა ცენტრში უფასოდ მიიღონ.

— დარწმუნებული ვარ, ადამიანებმა წინასწარ რომ იცოდნენ, სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში რა ელით, ამ სესხს უბრალოდ არ აიღებენ. თუ გამოუვალი მდგომარეობა აქვთ, იმას მაინც გაითავისებენ, რომ თუ შემოსავალი აღარ აქვთ და პრობლემა დაუდგათ, ადგნენ და უზრუნველყოფით დატვირთული ქონება გაყიდონ, ან გაასხვისონ, სანამ დრო ჯერ კიდევ არის და სანამ ჯერ კიდევ შეუძლიათ, ვალი დაფარონ და ახალი საცხოვრებელი იყიდონ, — განაცხადა მარიკა არევაძემ.

**კომერსანტი**

# იაპონიაში ქართული კივის პოპულარობამ იტალიურ და ფრანგულ კივის გადაასწრო

ქართულმა კივიმ იაპონელების კეთილგანწყობა მოიპოვა, — იტყობინება maestro portal Fruitnet.com -ზე დაყრდნობით.

პორტალი იუწყება, რომ საქართველოში მოყვანილმა კივიმ მომხმარებლებში დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც ქვეყნისთვის დიდი წარმატებაა, რადგანაც ისეთ დიდ ქვეყნებს, როგორიცაა იტალია და საფრანგეთი, დიდი დრო დასჭირდათ იაპონურ ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად. საქართველომ კი ამ ქვეყნებს უკვე გაუსწრო.



2016 წელს საქართველოდან იაპონიაში 10 ტონა კივი შევიტანეთ და აღმოჩნდა, რომ ქართული კივი იაპონურთან შედარებით 1.5-2%-ით უფრო ტკბილია. იაპონური ბაზრის მოცულობა 100.000 ტონამდეა, საიდანაც 80.000 ტონა ახალი ზელანდიიდან შემოდის. ვეძებდი ისეთ ადგილს, საიდანაც კივის ექსპორტი იქნებოდა შესაძლებელი და ეს ადგილი აღმოჩნდა საქართველო, — აცხადებს კომპანია აგრის პრეზიდენტი ტეტსუია საკამონტო.

აღსანიშნავია, რომ კივის ექსპორტიორი კომპანია ნერგეტაა.

**კომერსანტი**

# „დირსის“ დამფუძნებლის AS Group Investment-ის აგროპროექტში უმსხვილესი ჩინური კომპანია 140 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს




6 თებერვალს ქ. პეკინში სამხრეთ კავკასიის უმსხვილეს დეველოპერულ კომპანია AS Group Investment-სა და ჩინურ კომპანია China CAMC Engineering Co., Ltd შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, AS Group Investment-ის კუთვნილ პროექტ „აპშერონ აგრო პარკში“ 140 მლნ დოლარის ინვესტიციას ჩინური კომპანია განახორციელებს. მემორანდუმს ხელი მოაწერეს AS GROUP INVESTMENT-ის დამფუძნებელმა შაჰინ მოვსუმოვმა და China CAMCE Co., Ltd პრეზიდენტმა ლუო იანემ.

6-7 თებერვალს ქ. პეკინში, „აბრეშუმის გზის“ ფორუმის ფარგლებში, სადაც მონაწილეობდნენ ჩინეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის წარმომადგენლები, AS Group Investment-ის დამფუძნებელმა ასევე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა ჩინეთის უმსხვილეს სამთავრობო კომპანია China National Machinery Industry Corporation Ltd (SINOMACH)-ის ვიცეპრეზიდენტ ლიუ ჯინ ზენგთან, სადაც კომპანიებს შორის მომავალი თანამშრომლობა დაიგეგმა.

„აპშერონ აგრო პარკი“ მასშტაბური პროექტია, რომელიც აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და საქართველოში განხორციელდება. სამომავლოდ აზერბაიჯანში აგროპარკი 150 ჰა ტერიტორიას მოიცავს. ამ ეტაპზე კი 10 ჰა ტერიტორიაზე გაშენებულ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სათბურებში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით მარწყვი და პომიდორი მოჰყავთ. აგროპარკის სრულად ამუშავების შედეგად 3500 ადამიანი დასაქმდება. აგროპარკში წარმოებული პროდუქცია განკუთვნილია როგორც შიდა მოხმარების, ასევე ექსპორტისთვის.

2018 წელს სოფლის მეურნეობის მიმართულება აზერბაიჯანის სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად დასახელდა და აღნიშნული პროექტი აზერბაიჯანის აგროსექტორის განვითარებაში უდიდეს წვლილს შეიტანს.

www.dirsi.ge

# „ფიზიკურ პირებს მოსამზადებლად გონივრული ვადა უნდა მიეცეთ“

სუნელებისა და სანელებლების რეალიზაციასთან დაკავშირებით ახალი წესების შემოღებას კომპანია „ბლექს სი ჯორჯიას“ ხელმძღვანელი ბაგრატ მეზურნიშვილი აფასებს. როგორც მწარმოებელმა „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნა, თუ მთავრობის მხრიდან კონტროლის შესაბამისი მექანიზმები არ იქნება შემუშავებული, ფიზიკური პირები მაინც შეძლებენ ახალი წესების დარღვევით ვაჭრობას.

— ახალი რეგულაცია, პირადად, ჩემს ბიზნესს მეტ მოგებას მოუტანს, მაგრამ არ მინდა ამით ვინმე დაზარალდეს. ვფიქრობ, ფიზიკურ პირებს უნდა მიეცეთ გონივრული ვადა, რომ ახალი წესები დააკმაყოფილონ. მათი ასე პირდაპირ დაჯარიმება არ შეიძლება. მნიშვნელოვანია, როგორც ევროპაში ხდება, ჩატარდეს საგანმანათლებლო შეხვედრები, კონსულტაციები თუ ტრენინგები ფიზიკური პირებისთვის, რათა მზად იყვნენ ახალი გამოწვევებისთვის, — აცხადებს მეზურნიშვილი.

მისივე თქმით, თუ რეგულაცია გადამზადების გარეშე ამოქმედდება ფიზიკური პირები ვაჭრობის ალტერნატიულ გზებს მაინც მოძებნიან.

— თუ არ მოხდა მათი მომზადება და ასე პირდაპირ ამოქმედდა რეგულაცია, მაშინ ეს ადამიანები გადავლენ მიწისქვეშეთში ან სოციალური ქსელით დაიწყებენ გაყიდვებს. საბოლოო ჯამში, როგორც გარე ვაჭრობა ვერ აიკრძალა, სახელმწიფო ვერც ამ მიმართულებას გააკონტროლებს. შედეგად კი აღნიშნული რეგულაციაც ფასადური გახდება, ამიტომ საჭიროა მეტად მასშტაბური ცვლილებები, მთლიანად ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს, — აცხადებს მეზურნიშვილი.

ბაგრატ მეზურნიშვილს ნაწილობრივ არ ეთანხმება კომპანია „ზესხოს“ დირექტორი გიორგი ალავიძე, რომლის თქმითაც, საგანმანათლებლო ტრენინგები ფიზიკური პირებისთვის საჭირო არ არის, რადგან ეს ადამიანები თავად აითვისებენ ახალ წესებს. სხვა საკითხია ზოგადად სუნელებისა და სანელებლების არაკეთილსინდისიერი მომზადების შედეგების შესახებ ცნობადობის ამაღლება საზოგადოებაში.

— გადამზადება არ არის სწორი ან სად გვყავს ამდენი დარგის სპეციალისტი. ალტერნატიული გზების მოძიებას რაც



შეეხება, ამის რისკი ყოველთვის არსებობს. აქ მთავარია საზოგადოებამ გააცნობიეროს რა უარყოფითი შედეგები მოაქვს სუნელის არაკეთილსინდისიერად მომზადებას. ამიტომ თავად მთლიანი საზოგადოების დამოკიდებულებაა გადამწყვეტი. ღვედის სავალდებულო გაკეთების შესახებ კანონი სანამ ამოქმედდებოდა, არაერთი საგანმანათლებლო რეკლამა გავიდა ტელევიზიით, ახლაც ასე უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში რეგულაცია დადებით შედეგს მოგვცემს, — აღნიშნავს ალავიძე.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სუნელებისა და სანელებლების წარმოება-გადამუშავებასა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით რისკის მართვის დროებითი ზომები ამოქმედდება. რისკის მართვის დროებითი ზომების მოქმედების ვადა კი განსაზღვრულია არაუმეტეს 2 წლით.

ახალი წესების თანახმად:

იკრძალება ფიზიკური პირების (გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა) მიერ სუნელებისა და სანელებლების წარმოება ან/და გადამუშავება და რეალიზაცია;

ფიზიკური პირების მიერ სუნელებისა და სანელებლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებლის თანდასწრებით ადგილზე ხდება სუნელებისა და სანელებლების დაფქვა;

ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებული ან/და გადამუშავებული სუნელებისა და სანელებლების ბაზარზე განთავსება შესაძლებელია მხოლოდ დაფასოებული სახით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეტიკეტირების მოთხოვნების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მიკვლევადობასა და ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას.

შეგახსენებთ, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2017 წელს სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგებით, სუნელებისა და სანელებლების 187 ნიმუშიდან 33 შემთხვევაში (18%-ია) გამოვლინდა ტყვიის გადაჭარბებული შემცველობა. დარღვევები, უმეტეს შემთხვევაში, (88%) იმ ფიზიკური პირების, ასევე კუსტარული წარმოებების პროდუქციაში დაფიქსირდა, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებულნი და, შესაბამისად, მათ მიმართ არ ხორციელდებოდა სახელმწიფო კონტროლი. სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის დროს, ადგილი ჰქონდა სავარაუდო ფალსიფიკაციის შემთხვევებსაც, მათ შორის, არასასურსათო დანიშნულების ნედლეულის გამოყენების ფაქტებს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა შემოღებულიყო რისკის მართვის დროებითი ზომები, რაც მიზნად მომხმარებლის ინტერესებისა და ჯანმრთელობის დაცვას ისახავს.

**კომერსანტი**

# რა ვალდებულებები დაეკისრებათ დეველოპერებს მშენებლობის ნებართვის მისაღებად




— მშენებლობის ნებართვების გაცემის პროცესში თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურების მონაწილეობა სავალდებულო ხდება.

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

კალაძის თქმით, ახალი რეგულაციების თანახმად, დაინტერესებულმა პირმა, ვისაც მშენებლობის ნებართვის მიღება სურს, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დენდროლოგიური პროექტის მომზადება და შეათანხმოს მერიასთან.

— იცით, რომ ვახორციელებთ ინსტიტუციურ რეფორმას, რომელიც უნდა გამყარდეს შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებებით. ჩვენ ინიცირება გავუკეთეთ რამდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლითაც არსებითად იცვლება მიდგომა ქალაქგანვითარების პროცესის მიმართ. ამ ცვლილებების მიხედვით, სავალდებულო ხდება თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურების მონაწილეობა მშენებლობის ნებართვების გაცემის პროცესში. პირველივე დღიდან ეს სამსახურები უნდა იყოს ჩართული, რომ ყველანაირი პრობლემა თავიდან ავიცილოთ. ტრანსპორტის თვალსაზრისით თავიდანვე მოხდება გათვლა, თუ რამდენად შესაძლებელია იმ კონკრეტულ ადგილზე კონკრეტული საცხოვრებელი ფართების აშენება, რომ ტრანსპორტის თვალსაზრისით შემდეგ იქ მცხოვრებ ადამიანებს პრობლემები არ შეექმნათ და ზოგადად, ქალაქში კოლაფსი არ გამოიწვიოს. მოხდება ნაკადების მართვა, დათვლა და ამის შედეგად იქნება სამშენებლო ნებართვები გაცემული.

ახალი რეგულაციების თანახმად, დაინტერესებულმა პირმა, ვისაც მშენებლობის ნებართვის მიღება სურს, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დენდროლოგიური პროექტის მომზადება და შეათანხმოს მერიასთან. ასევე მშენებელს ვალდებულება ექნება, რომ სამშენებლო სამუშაოების შესახებ, დენდროლოგიური პროექტის დაფაც გამოაქვეყნოს, რომ ყველას ჰქონდეს წვდომა პროექტის შესახებ. ეს ეხება არა მხოლოდ კერძო სექტორს, არამედ მერიასაც. არსებული პარკები და სკვერები არ არის საკმარისი და ყველა მშენებლობის დროს ყურადღება დაეთმობა მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებასა და გამწვანებას, — განაცხადა კალაძემ.

**ბპნ**

# „თავდასხმის მთავარი სამიზნე ნოდარ გუგეშაშვილი იყო“

დოდო გუგეშაშვილის ოჯახზე თავდასხმა და მისი შვილის მკვლელობა კვლავ რჩება საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

დოდო გუგეშაშვილის მეგობარი და ექიმი, დავით მუხიგული ამბობს, რომ პაციენტს მხოლოდ შვილის შესახებ ამბავი აინტერესებდა.

მისი ინფორმაციით, დოდო გუგეშაშვილი და მისი შვილი მკვლელს იცნობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უცნობ პირს სახლის კარს არ გაუღებდნენ.

„ნიუპოსტი“ დოდო და ნოდარ გუგეშაშვილების მეგობარს, ზაირა მიქატაძეს ესაუბრა, რომელიც საზარელ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე ესაუბრა გუგეშაშვილს. ისინი შეხვედრაზეც კი შეთანხმდნენ, რომ კლინიკაში წასულიყვნენ, სადაც მათი მეგობარია მოთავსებული.

– საზარელ ფაქტამდე რამდენიმე წუთით ადრე ვესაუბრე, დოდომ 10:27 საათზე დამირეკა. ჩვენი მეგობარი, ვეტერანი იწვა ჩაფიძის კლინიკაში, ვიცოდი, რომ მისვლას აპირებდა, მითხრა, გადავურეკავ და შენც გაგაგებინებ დეტალებსო. ვვარაუდობ, რომ როგორც კი დავასრულეთ საუბარი, მოხდა ეს ფაქტი, – აღნიშნა ზაირა მიქატაძემ, რომელიც არ გამორიცხავს, ნოდარ გუგეშაშვილს წარსულში კონფლიქტი ჰქონოდა.





– ყველაფერი დასაშვებია, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ პირადად არაფერი მსმენია ნოდარისგან, რომ ვინმესთან დაპირისპირება ჰქონდა. მე და ნოდარი ვეტერანთა საბჭოში წელიწად-ნახევარი ერთად ვმუშაობდით, უწესიერესი ბიჭი იყო. კონფლიქტი ყველას მოსდის, არ გამოვრიცხავ, მასაც ჰქონოდა, თუმცა ვერ წარმომიდგენია, რა დონის დაპირისპირება უნდა ჰქონოდა, რომ სასიკვდილოდ გაემეტებინათ ახალგაზრდა კაცი, – თქვა „ნიუპოსტთან“ გუგეშაშვილების მეგობარმა.

მიქატაძე ამბობს, რომ დოდო გუგეშაშვილს ვალები ნამდვილად ჰქონდა, რადგან დედა-შვილი უმუშევარი იყო, ამასთან, მისი თქმით, დოდოს მკურნალობა ესაჭიროებოდა და ვალებიც ამიტომ დაედო.

– უშიშარი ხასიათი ჰქონდა, როცა სტუმრად მივსულვართ, გველოდა და არასდროს უკითხავს, ვინ არისო. როგორც ჩვენი მეგობრები იხსენებენ, კარიც ხშირად გაღებული ჰქონდა დატოვებული. ჩემთვისაც არასდროს უთქვამს, რომ ვინმე ემუქრებოდა ან ვინმესთვის საინტერესო იყო. მტრული დამოკიდებულება არავისთან ჰქონია. პირიქით, ბოლო პერიოდში ძალიან გაწონასწორებული და მშვიდი იყო.

ვალებს რაც შეეხება, ვალები ნამდვილად ჰქონდა – დედა-შვილი უმუშევარი იყო, ქირით ცხოვრობდნენ, თავადაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და მუდმივად ესაჭიროებოდა წამლები. როგორც ვიცი, უპასუხისმგებლოდ არავის მიმართ არ მოქცეულა – ერთისგან ისესხებდა, მეორეს ჩაასესხებდა, რომ ნაწყენი არავინ დარჩენილიყო. გულგრილად, აგდებულად არავის, არცერთ მოვალეს არ მოჰქცევია, – განაცხადა დაჭრილი თადარიგის პოლკოვნიკის ახლო მეგობარმა და იქვე დასძინა, რომ მკვლელობასა და დაჭრას ვალებთან ვერ აკავშირებს.

მიქატაძე გუგეშაშვილების ოჯახზე განხორციელებული თავდასხმის მიზეზად წარსული საქმიანობის გამო დოდო გუგეშაშვილზე შურისძიებას გამორიცხავს:

– ნოდარი ჰყავთ სასიკვდილოდ გამეტებული. მას ორი საკონტროლო ტყვია აქვს დახლილი. გამოდის, რომ ნოდართან მოვიდნენ, დოდოს შვილის გადარჩენა უნდოდა, – განაცხადა „ნიუპოსტთან“ გუგეშაშვილის მეგობარმა.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული, რომ დოდოსთან ვეტერანი შესულიყო.

– ამბობენ, რომ დოდომ მკვლელის ვინაობა იცის. იმასაც ამბობენ, თითქოს ვეტერანი იყო. დოდოსთან ვეტერანი რომ შესულიყო, არ არის გამორიცხული, რადგან ამ წრეში ტრიალებდა. ეს ინფორმაცია ნამდვილად არ არის გამორიცხული. დოდო რომ მკვლელს იცნობდა, იქიდანაც ჩანს, რომ სხვანაირად ის ბინაში ასე მარტივად ვერ შეაღწევდა, – აღნიშნა რესპონდენტმა.

კითხვაზე, გარკვეულ ფინანსურ საკითხებს ხომ არ უკავშირდება მკვლელობა და დაჭრა, ზაირა მიქატაძე პასუხობს, რომ გუგეშაშვილს ვეტერანთა საბჭო პროექტებსაც კი არ უფინანსებდა.

– ჩვენი სამსახური მას პროექტებს არ უფინანსებდა. სიმართლე გითხრათ, მასაც არ ჰქონია ეს მოლოდინი. ჩვენ, უბრალოდ, ვგეგმავდით და ვახორციელებდით. ჩვენ ერთი კვირით ადრე აჭარა-გურიაში მივლინებით ვიყავით, დღედაღამ ერთად ვიყავით, გარკვეული უსიამოვნება, მათ შორის, ფინანსური რომ ყოფილიყო, მას ეს აუცილებლად წამოსცდებოდა, – განაცხადა ზაირა მიქატაძემ.

მომხდარზე გამოძიება განზრახ მკვლელობისა და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 19-109-ე მუხლებით.

**დავით ჯაბაშვილი, ნიუპოსტი**

* * *

გუშინ, გვიან საღამოს, დოდო გუგეშაშვილის ოჯახზე თავდასხმის შესახებ მნიშვნელოვანი ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავდამსხმელი უკვე იდენტიფიცირებულია და რომ მისი მთავარი სამიზნე ნოდარ გუგეშაშვილი იყო. მკვლელსა და ნოდარ გუგეშაშვილს შორის წლების განმავლობაში დაპირისპირება ქალის გამო არსებობდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ისინი წლების წინ ერთმანეთს თბილისის ზღვაზე ფიზიკურადაც გაუსწორდნენ.

გუგეშაშვილის მკვლელობისთვის ძებნილი, „ქრონიკის“ ინფორმაციით, რამდენიმე წელი სასჯელს იხდიდა, ციხიდან გამოსულმა კი შური იძია.

სამართალდამცველებმა უკვე დაკითხეს გარდაცვლილის ბიძა, მეგობარი გოგო და მეზობლები, რომელთა ერთი ნაწილის განცხადებით, მათ დაინახეს მკვლელი ლურჯი ფერის ქურთუკში.

არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ თავდამსხმელი დაჭრილია და მან დანაშაულის ადგილი დიღმის ტყეპარკის გავლით დატოვა.

# „ბადაგონში“ სკანდალი გრძელდება. „დაქირავებულმა სალაყაიამ ვლადიმერ ჯანჯღავას დაფუძნებული „ბადაგონი“ თაღლითურად მიისაკუთრა“

კომპანია „ბადაგონის“ მფლობელ ვლადიმერ ჯანჯღავას ადვოკატი იმედა დვალიძე ამბობს, რომ „ბადაგონის“ დაქირავებულმა მენეჯერმა გიორგი სალაყაიამ კომპანიის ქონება კანონდარღვევით მიითვისა.

– 2003 წლიდან დღემდე კომპანია „ბადაგონის“ რეალურ მესაკუთრეს წარმოადგენს და ში განხორციელებული ინვესტიციები, – აცხადებს იმედა დვალიძე.

მისი თქმით, უზნეობაა, როცა დაქირავებული დირექტორი ინვესტორზე ამბობს, რომ ის არის საეჭვო რეპუტაციის, არასანდო პიროვნება, მაშინ როცა წლების განმავლობაში სწორედ ამ ადამიანისგან იღებდა თანხებს.



– საინტერესოა, მაშინ არ იცოდა ჯანჯღავას საეჭვო რეპუტაციის თაობაზე, როცა მას საკუთარი შვილი მოანათვლინა?! – აცხადებს ადვოკატი.

მისი თქმით, „ბადაგონის“ ერთადერთი ინვესტორი „გრაკორო თრეიდინგ ლიმიტედია“. ის დაფუძნებულია ვლადიმერ ჯანჯღავას მიერ და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს მას, როგორც „გრაკოროს“ აქციონერს წარმოადგენდა მისი მეუღლე, მოგვიანებით კი სიმამრი, „გრაკოროსგან“ „ბადაგონში“ მიმართული ფინანსების ერთადერთი წყარო სწორედ ვლადიმერ ჯანჯღავა გახლდათ.

ინვესტიციებს რეალურად ახორციელებდა მხოლოდ ვლადიმერ ჯანჯღავა. უზნეობაა, როცა გიორგი სალაყაია აცხადებს, რომ თითქოს ვლადიმერ ჯანჯღავას წილი არ ეკუთვნის „ბადაგონში“. სალაყაიამ ყველაზე კარგად იცის, რომ ვლადიმერ ჯანჯღავა არა მხოლოდ მფლობელი იყო, არამედ სწორედ მან განახორციელა 20 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია ქარხანაში, სწორედ ჯანჯღავას ჩადებული ინვესტიციის წყალობით გახდა კომპანია „ბადაგონი“ ცნობადი, მაღალტექნოლოგიური და განვითარებული კომპანია, – განაცხადა ადვოკატმა.

როგორც მან აღნიშნა, სალაყაიამ ჯანჯღავას ნდობით ისარგებლა და შესთავაზა მას, წილი საკუთარ თავზე გაეფორმებინა.

– გიორგი სალაყაია ამ კომპანიაში მხოლოდ დაქირავებული მენეჯერი იყო. სალაყაიამ ისარგებლა ვლადიმერ ჯანჯღავას ნდობით და შესთავაზა მას წილის საკუთარ თავზე გაფორმება, კომპანიის მართვის გამარტივების მიზნით. სწორედ ამ გზით მიითვისა გიორგი სალაყაიამ როგორც საწარმო, ისევე საწარმო-

– ვლადიმერ ჯანჯღავა აპირებს, ბოლომდე იბრძოლოს „გრაკოროს“ მეშვეობით მის მიერ „ბადაგონში“ განხორციელებული ინვესტიციების დასაცავად. სალაყაია ფუჭად ცდილობს შეთქმულების თეორიების შეთხზვას, სახელმწიფოს დაშანტაჟებას. მას პასუხი აქვს გასაცემი ერთადერთ კითხვაზე – რატომ მიითვისა მან, როგორც საწარმოს დაქირავებულმა მენეჯერმა ჯანჯღავას მიერ „ბადაგონში“ განხორციელებული ინვესტიციები? ამ კითხვაზე პასუხი მან სწორედ საგამოძიებო სამსახურს უნდა გასცეს! – განაცხადა იმედა დვალიძემ.

კომპანია „ბადაგონში“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური 7 თებერვალს შევიდა. ამის მიზეზი „გრაკორო თრეიდინგ ლიმითედის“ საჩივარი გახდა, რომლის მიხედვითაც კომპანიის დაქირავებულმა დირექტორმა „ბადაგონის“ ერთადერთი ინვესტორისა და 100%-იანი წილის მფლობელის ვლადიმერ ჯანჯღავას ქონება მიისაკუთრა.

**პირველი**

# გარემოსდაცვით დეპარტამენტში უშიშროება შევიდა

## დეპარტამენტის უფროსი გურამ ასათიანი პრემიერ კვირიკაშვილის ახლობელია

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ოზურგეთის ოფისში გუშინ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები შევიდნენ.

დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს მობილური ტელეფონები ჩამოართვეს. მათი ნაწილი ბათუმში გადაიყვანეს.

ჟურნალისტებს არ მიეცათ საშუალება, გასაუბრებოდნენ დეპარტამენტის ხელმძღვანელ გურამ ასათიანს.

ანტიკორუფციულის შესვლა გურიის გარემოსდაცვით დეპარტამენტში მდინარეებზე არსებულ კარიერების უკანონო საქმიანობას უკავშირდება.

გურიაში მდინარეებზე სუფსა, ნატანები და ბჟუჟი, ინერტული მასალების მხრივ არსებული კატასტროფული მდგომარეობა არაერთხელ გამხდარა ადგილობრივი საზოგადოების მსჯელობის საგანი. მეტიც ხშირია მოსახლეობის მხრიდან ინერტული მასალების მოპოვების მასშტაბების გამო საპროტესტო გამოსვლები.



ასევე ვრცელდება ხმები, რომ აბსოლუტური უმრავლესობა მოქმედი „კარიერებიდან“ უკანონოა და აქედან მიღებული არაოფიციალური შემოსავლები ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტების ჯიბეებში მიდის.

მოსახლეობა სოფლებში მეწყრულ პროცესებს, არტეზიულ ჭებში წყლის დონის მკვეთრ კლებას სწორედ ამ ინერტული მასალის უკანონო მოპოვებას უკავშირებს.

აღსანიშნავია, რომ გურიის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გურამ ასათიანი მოქმედი პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის ახლობელია.

**ნიუპოსტი**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

2018, 9 თებერვალი, №33

# თურქეთის არმია ალეპოში შევიდა



ვლადიმერ პუტინის სიტყვები, სირიაში ომი დამთავრდა, ჩვენ გავიმარჯვეთო, არ გამართლდა. დღეს ამას უკვე ყველა ხედავს. ომი არათუ არ დამთავრდა, ახალი ძალით გაჩაღდა. მძაფრი საბრძოლო მოქმედებების ეპიცენტრი ალეპო გახდა.

ალეპოზე პრეტენზიას არაერთი ძალა აცხადებდა. დიქტატორი ასადი თავს უწოდებს სირიის კანონიერ ხელისუფალს და აცხადებს, რომ ყველა უცხოურმა ფორმირებამ, რომლებიც ქვეყანაში მისი ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებიან, სირია დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ. ალეპოზე თვალი უჭირავთ როგორც ქურთებს, ასევე სირიელ პარტიზანებს (სირიის თავისუფალი არმია). ქალაქისთვის ბრძოლებიც ახალი ძალით გაჩაღდა.

ქურთების გააქტიურებას თურქეთის ადეკვატური რეაქცია მოჰყვა. ქურთებმა ალეპოს მისადგომებთან რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის პოზიცია დაიკავეს. ასადის მხედრობის ყველა მცდელობა, ისინი ქალაქიდან განედევნათ, ამაო აღმოჩნდა. ქურთების მიერ ალეპოს აღების საფრთხე რეალური გახდა. ამას ანკარის მწვავე რეაქცია მოჰყვა. თურქეთის არმია ალეპოსკენ დაიძრა.

დიქტატორმა ასადმა თურქეთის ხელისუფლებას მოუწოდა, თავისი შეიარაღებული ფორმირებები სირიიდან დაუყოვნებლივ გაეყვანა.

პრეზიდენტმა ერდოღანმა ამას ყურადღება არ მიაქცია. თურქეთის არმიამაც ალეპოსკენ სვლა განაგრძო. ასადმა ქურთებს მოუწოდა, მისკენ გადასულიყვნენ და თურქებს შებრძოლებოდნენ. ქურთების მხრიდან ამას რეაქცია არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, თურქებთან ერთად ქალაქისკენ სირიის თავისუფალი არმია დაიძრა. ალეპოს მისადგომებთან სასტიკი ბრძოლები გაიმართა.

თურქების პირველი მცდელობა, ალეპოში შეჭრილიყვნენ, მარცხით დასრულდა. მეორე მცდელობასაც წარმატება არ მოჰყოლია. თურქებმა ქალაქში შეჭრა მხოლოდ მესამე ცდაზე მოახერხეს.

ასადის მომხრე ფორმირებებმა მათ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ თურქების შეჩერება ვერ მოახერხეს. თურქები ალეპოს ნაწილს უკვე აკონტროლებენ და დამცავი ზღუდეების მშენებლობას შეუდგნენ. თურქი სამხედროების პოზიციები სირიელების სიახლოვესაა.

თურქეთის გენშტაბის ცნობით, ბრძოლებში ერთი თურქი ჯარისკაცი დაიღუპა, სამი დაიჭრა. თურქული მედია იტყობინება, რომ თურქეთის არმია სირიის ჩრდილოეთში განთავსებული ავიაბაზის დაკავებასა და შემდეგ იქ სამეთვალყურეო პუნქტის განთავსებას აპირებს.

სირიული კვანძი სულ უფრო იხლართება და შესაძლოა ის რუსეთის ყელზე მარყუჟად გადაიქცეს.

# მერკელი — კანცლერი, შულცი — საგარეო მინისტრი

## გერმანიაში კოალიციური მოლაპარაკებები დასრულდა



გერმანიაში დასრულდა მოლაპარაკებები ახალი, კოალიციური მთავრობის შექმნის მიზნით.

ახალ კოალიციაში შევლენ ქრისტიან-დემოკრატიული, ქრისტიან-სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. მოხერხდა შეთანხმება ახალი მთავრობის ფორმირების გარშემოც.

კანცლერის პოსტზე ანგელა მერკელი დარჩება, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე კი მარტინ შულცი მოიაზრება. ის ზიგმარ გაბრიელს შეცვლის.

ოფიციალური წყაროები ამას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.

# ტრამპს ვაშინგტონში აღლუმის გამართვა სურს

დონალდ ტრამპმა ვაშინგტონში სამხედრო აღლუმის გამართვის სურვილი გამოთქვა.

პარიზში ვიზიტისას ტრამპი იქაური სამხედრო აღლუმით აღტაცებული იყო, ამიტომ სურს, მსგავსი გრანდიოზული სანახაობა ვაშინგტონშიც გაიმართოს.



აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ტრამპის განზრახვას ეწინააღმდეგებიან. ისინი აცხადებენ, რომ ხმაურიანი აღლუმების გამართვა არა დემოკრატიულ, არამედ ავტორიტარულ რეჟიმებს ახასიათებს.

# აშშ-ის კონგრესმა რუსეთის საწინააღმდეგო მორიგი კანონი მიიღო



აშშ-ის კონგრესმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა კანონს, რომელიც რუსეთის მიერ უკრაინის მიმართ განხორციელებულ აგრესიას კიდევ ერთ ზღუდეს უქმნის. თანახმად ამ კანონისა, აშშ იღებს ვალდებულებას, რომ უკრაინას როგორც უშიშროების, ასევე კიბერუსაფრთხოების დარგში დახმარება გაუწიოს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ კანონი დაუყოვნებლივ შევა ძალაში. ახლა ხსენებული კანონპროექტი სენატმა უნდა დაამტკიცოს, შემდეგ ხელი პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს. კანონს ძალა სწორედ ამის შემდეგ ექნება.

# ჩინეთში გზის ჩანგრევამ 8 ადამიანი იმსხვერპლა

ჩინეთში, გუანდუნის პროვინციის ქალაქ ფოშანში, საავტომობილო გზის მონაკვეთის ჩანგრევის შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ჩინეთის ცენტრალური ტელევიზია იუწყება.

ბოლო მონაცემებით, კიდევ 9 ადამიანი სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით ჰოსპიტალშია გადაყვანილი. 3 ადამიანი დაკარგულად ითვლება.

სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოძიება დაიწყეს. მიმდინარეობს სამაშველო-სამძებრო ოპერაცია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ბუდისტი ბერი ქალების საცვლებს იპარავდა

ქალების საცვლების ქურდი ბუდისტი ბერი სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის მონასტრიდან განკვეთეს.

ვიდეორგოლი რამდენიმე დღის წინ იქნა გადაღებული. კადრებში ჩანს, რომ 49 წლის ტხირაპხაპ ვორადილოკი ტაილანდის ქალაქ სულპხანბურის ერთ-ერთ შესახვევში გასაშრობად გაფენილ ქალის ტრუსებს თოკიდან ხსნის, ჩანთაში აწყობს და გარბის.



თეთრეულის დაკარგვა სახლის პატრონმა კიტისაკ ხაჟორნეტიხუნმა იმავე საღამოს აღმოაჩინა. ის გაკვირვებული დარჩა, როდესაც ვიდეოჩანაწერში ნახა, თუ ვინ იყო საცვლების ქურდი. მან პოლიციას შეატყობინა და მათ ბერზე ძებნა გამოაცხადეს.

ხაჟორნეტიხუნმა, საიუველირო ნაკეთობების მაღაზიის მფლობელმა განმარტა, რომ პოლიციაში განცხადების შეტანა ფულის გამო არ გადაუწყვეტია.

– ჩემს ცოლს თავისუფლად შეუძლია ახალი ტრუსების ყიდვა, მაგრამ მას ძალიან მოსწონდა ერთ-ერთი მოპარული წყვილი, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანია სხვა ქალების გაფრთხილება ბერის ჩვევის თაობაზე, – განაცხადა დაზარალებულმა.

მონასტრის წინამძღვარმა როდესაც მომხდარის შესახებ შეიტყო, ვორადილოკი განკვეთა და მონასტრიდან გააძევა. დაკითხვაზე მან პოლიციელებს განუცხადა, რომ საცვლების ქურდმა ბერმა საკუთარი ქმედება წამლების გვერდითი ეფექტით ახსნა. სწორედ ის აიძულებდა, ასეთი უცნაური საქციელი ჩაედინა. ამჟამად ბერზე ძებნაა გამოცხადებული.

# კოლუმბიელი მოდელი ორჯერ გაუუპატიურებიათ

ცნობილმა კოლუმბიელმა პლიუს-საიზ მოდელმა მარია ჰიმენეს პასიფიკომ განაცხადა, რომ ის ადრე ორჯერ გააუპატიურეს. ამის თაობაზე მარია ერთ-ერთ ცნობილ გამოცემას ესაუბრა.



გოგონამ ამ ფაქტზე ჯერ კიდევ იანვარში ისაუბრა, თუმცა მისმა ისტორიამ პოპულარობა მხოლოდ ახლახან მოიპოვა, როდესაც ის ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

მოდელის თქმით, პირველად „მეგობარმა" გააუპატიურა, როდესაც ჯერ კიდევ 15 წლის იყო.

– მან თავის სახლში წვეულებაზე დამპატიჟა. ჩვენ დავლიეთ და გაცილება შემთავაზა. მან მითხრა, რომ უნდოდა, ჩემზე ეზრუნა, ამის მაგივრად კი ბაღში შემიტყუა და გამაუპატიურა, – განაცხადა პასიფიკომ.

22 წლის ასაკში გოგონას უცნობმა სასმელში რაღაც ნივთიერება ჩაუყარა, თავისთან სახლში წაიყვანა და რამდენჯერმე გააუპატიურა. მოდელმა პოლიციას მიმართა, მაგრამ, იმის გამო, რომ ბრალდებულს ავარიის შემდეგ მეხსიერებაში ჩავარდნები ჰქონდა, სასჯელის თავიდან აცილება მოახერხა.

დიდი ხნის განმავლობაში ის ფიქრობდა, რომ ყველაფერში თავადვე იყო დამნაშავე, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ ორგანიზებულმა ფლეშმობმა, რომლის დროსაც ქალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადატანილი ძალადობის შესახებ საუბრობდნენ, მოდელი მიახვედრა, რომ ყველაფერი სხვაგვარად იყო. მან გადატანილი ძალადობის შესახებ იმიტომ ისაუბრა, რომ ძალადობის მსხვერპლმა სხვა გოგონებმა სითამამე მოიკრიბონ და მომხდარში საკუთარი თავი აღარ დაადანაშაულონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● ფსორიაზის მკურნალობა მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით, ფსორიაზის შამპუნით და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით. 597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია", „ზაპოი", ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში). ტელ: 599-45-88-66;

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლურიდანარკოტიკულიდამოკიდებულებისგანსწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

**მალამო ძვალ-სახსართა დაავადებების სამკურნალოდ**

მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, კიდურების სიცივეს, დაბუჟებას, ფეხის ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ჰაიმორიტს. ქალბატონი ნანას პაციენტთა შორის არიან ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის 48, ტელ: 599-54-64-81; 593-00-08-26.

# მსოფლიო თასი თბილისს სტუმრობდა

ალბათ ბევრს გახსოვთ ფრაზა ფილმიდან „პირველი მერცხალი“ – შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი გემით გავემგზავრებით უცხოეთში ფეხბურთის სათამაშოდ.

უცხოეთში თამაში ახლა უცხო ხილი ნამდვილად არ არის, მაგრამ როდის მოვა ის დრო, სანამ საქართველოს ნაკრები რამე წარმატებას მიაღწევს, ვერ გეტყვით. თუმცა, როდესაც ქართული ფეხბურთი არ მიდის ჯილდოსთან, მაშინ ჯილდო მოდის საქართველოში...

დიახ, საქართველოს ფეხბურთში მსოფლიო თასი სტუმრობდა. მართალია ერთი დღით, მაგრამ სტუმრობდა... ფიფას მსოფლიო ჩემპიონატის თასი საქართველოში თბილისის მერიის, ფეხბურთის ფედერაციისა და კომპანია კოკა-კოლას პარტნიორობით ჩამოვიდა.

ცოტა შორიდან დავიწყოთ: 1930-1970 წლებში ჩემპიონატის გამარჯვებულები ჟიულ რიმეს (ფიფას ყოფილი პრეზიდენტი) სახელობის თასით ჯილდოვდებოდნენ. 1970 წელს, ბრაზილიამ მესამედ მოიპოვა ჩემპიონის წოდება და თასი სამუდამოდ დაისაკუთრა.

1970 წლის შემდეგ შეიქმნა ახალი თასი. ფიფას ექსპერტებმა 7 სხვადასხვა ქვეყნიდან განიხილეს 53 წარმოდგენილი მოდელი. საბოლოოდ, არჩევანი შეჩერდა იტალიელ სილვიო გაზანიგას ვერსიაზე. თასის სიმაღლეა 36 სმ, დამზადებულია თვრამეტკარატიანი ოქროსაგან, იწონის 6,175 კგ-ს. გამოსახულია ადამიანის 2 ფიგურა, რომელთაც ხელებში გლობუსი უჭირავთ. ქვედა ნაწილზე ამოტვიფრულია გამარჯვებული ჩემპიონატების წლები და გამარჯვებულები, დაწყებული 1974 წლიდან.

სწორედ ამ თასის მსოფლიო ტური კოკა-კოლამ 2017 წლის სექტემბერში დაიწყო. ტური პლანეტის 5 კონტინენტის 50-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს და 9 თვის განმავლობაში 126.000 კილომეტრს გაივლის.

დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყო ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი, 1998 წლის წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი კრისტიან კარამბეც, თბილისის აეროპორტში დახვდნენ კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას პრეზიდენტი თემურ ჭყონია, დედაქალაქის მერი კახა კალაძე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები და ვეტერანი ფეხბურთელები დახვდნენ.

ტურის მნიშვნელობაზე ისაუბრა კოკა-კოლას საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის მენეჯერმა კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში ალექსანდრ აკიმანმა:

– ფიფას მსოფლიო თასის ტური, რომლის ორგანიზატორი კოკა-კოლაა, მილიონობით ადამიანს უნიკალურ შანსს აძლევს მსოფლიოს უდიდესი სპორტული ღონისძიების მონაწილე გახდეს. კოკა-კოლა და ფიფა გულშემატკივრებს იწვევს რათა საკუთარი თვალით იხილონ მსოფლიო ჩემპიონატის თასი. ეს გახლავთ შესაძლებლობა, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მიეცეს ადამიანს. ჩვენ კოკა-კოლაში მხარს ვუჭერთ მსოფლიოს მილიონობით ადამიანის გატაცებას ყველაზე პოპულარული სპორტით. მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მხარდაჭერის გარდა, კოკა-კოლას პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს ფეხბურთის ფედერაციასთან, რითაც ათასობით მოზარდს ეხმარება.




**კრისტიან კარამბე:**

– მივესალმები საქართველოს! მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ვარ და ძალიან მიხარია, რომ თასი საქართველოში ჩამოვიდა. მივესალმები კახა კალაძეს, „მილანის“ ყოფილ ფეხბურთელს და თბილისის მერს! დარწმუნებული ვარ, რომ მისი წვლილი იქნება ისეთივე დადებითი მთავრობაში, როგორიც იყო ფეხბურთში. მივესალმები ყველა იმ ფეხბურთელს, რომელსაც აქ ვხედავ და მიხარია მათი დანახვა. თბილისში და ზოგადად, საქართველოში ეს ჩემი პირველი ვიზიტია და კმაყოფილი ვარ, რომ მომეცა აქ ჩამოსვლის საშუალება.

ფეხბურთი არ არის მხოლოდ სპორტი, ეს არის ურთიერთპატივისცემის თამაში. თასი, რომელიც მსოფლიოში მოგზაურობს, მისცემს ახალგაზრდებს უფრო დიდ მოტივაციას და სურვილს, რომ დაკავდნენ ფეხბურთით. სანამ მსოფლიო ჩემპიონატის თასი რუსეთში ჩავა, იქამდე მსოფლიო ტურის ფარგლებში 50 ქვეყანას მოივლის და მოხარული ვარ, რომ მათ შორის არის საქართველო.

ეს თასი 6 კილოგრამ ოქროს იწონის, თუმცა მისი ღირებულება ფასდაუდებელია, რადგან გულშემატკივრებისთვის უდიდესი აღმაფრენა და სიხარული მოაქვს. ასევე მადლობას ვუხდი კოკა-კოლას, რომ შესაძლებელი გახადა ჩემი ვიზიტი საქართველოში და ქართველებს მისცა მსოფლიო თასის ნახვის საშუალება.

**კახა კალაძე, თბილისის მერი:**

– მადლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა მსოფლიო ჩემპიონატის თასის ჩამოტანაში. არ დავიწყებ ახსნას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი თასია სპორტულ სამყაროში. სამწუხაროდ, პირადად მე არ მომეცა ამ თასისთვის ბრძოლის საშუალება, თუმცა საკლუბო დონეზე ყველა მნიშვნელოვანი თასი მაქვს მოგებული. მიხარია, რომ მსოფლიო თასი თბილისშია და ძალიან კარგია, რომ გულშემატკივრებს ამ ტროფეის ხილვის და ფოტოების გადაღების საშუალება მიეცემათ.

საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა. მან მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს საქართველოში სტუმრობისთვის და ფიფას და კოკა-კოლას თასის ტურის ორგანიზებისათვის, რომელიც ქართველ გულშემატკივრებს საშუალებას აძლევს საფეხბურთო სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო იხილონ.

თასის ხილვა და მასთან ფოტოსესია ქართველ გულშემატკივარს თბილისი მოლის ცენტრალურ ატრიუმში შეეძლოთ. დღეს თასი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაემგზავრა, საბოლოოდ კი, თასის მოგზაურობა 30 აპრილს იაპონიის ქალაქ ოსაკაში დასრულდება.

# კახა ცხადაძე საქართველოს წინააღმდეგ სათამაშოდ მზად არის

საქართველოს ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ აზერბაიჯანულ და ყაზახურ მედიას ზედიზედ მისცა ინტერვიუები.



– ჯერ არ ვმუშაობ. თურქეთში ვიყავი, სამწვრთნელო პროცესს ვაკვირდებოდი, ვესაუბრებოდი სპეციალისტს. პრაქტიკებს ვაგრძელებ, რომ ტონუსში ვიყო. შეთავაზებები კი არ მაქვს. თუ ასეთი წინადადება იქნება. ბუნებრივია, ვისურვებდი ისეთი გუნდის გაწვრთნას, რომელსაც მაქსიმალური ამოცანები ექნება. ჩემთვის ყოველთვის იყო საინტერესო ამბიციურ კლუბში მუშაობა.

ცხადაძემ საქართველოს ნაკრებიდან წამოსვლის პერიოდზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს ფედერაცია მწვრთნელად მუშაობის პარალელურად ზურგს უკან ძირს უთხრიდა.

***– როგორ არის თქვენი საქმეები? ამჟამად რით ხართ დაკავებული? თქვენი შემოქმედებითი შვებულება ძალიან გაგრძელდა. თავად როგორ თვლით?***

– ჯერჯერობით სახლში ვარ. სასურველ წინადადებას ველი. მე ყოველთვის ამბიციურ გუნდებში ვმუშაობდი, რომლებიც მაღალ მიზნებს ისახავდნენ ანუ ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ. პრინციპში, შვებულება ამიტომ გამიგრძელდა.

***– ყაზახეთში ჯერაც განიხილავენ ერთა ლიგის კენჭისყრას, სადაც საქართველოსა და ყაზახეთის გუნდები ერთ ჯგუფში მოხვდნენ. რას ფიქრობთ ამის შესახებ? ვის მიიჩნევთ ფავორიტად?***

– ამ ჯგუფში წილისყრა ყველასთვის მკაცრი იყო, რადგან ეს დ დივიზიონის ყველაზე ძლიერი ჯგუფია. ამ ჯგუფიდან გასვლა ძნელია, რადგან შესანიშნავად ვიცი საქართველოს ეროვნული გუნდის პოტენციალი, რომელსაც ადრე ვწვრთნიდი და შესანიშნავად ვიცი ყაზახეთის ნაკრების შესაძლებლობები. ფავორიტები საქართველო და ყაზახეთია. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მწვრთნელებზე, რომლებმაც თავიანთი შეგირდების პოტენციალი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. იმავე ლატვიასთან და ანდორასთან რთული გასვლითი მატჩები იქნება.

***– ჯერჯერობით ყაზახეთის ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს. თქვენნაირი სპეციალისტი დიდი იშვიათობაა. ჩვენს ფეხბურთს შესანიშნავად იცნობთ. საკუთარი თავი ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელად არ წარმოგიდგენიათ? მზად ხართ, ჩაუდგეთ ჩვენს გუნდს სათავეში და მშობლიური ქვეყნის ნაკრებს დაუპირისპირდეთ?***

– მნიშვნელოვანია, ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელი თავის განკარგულებაში მყოფ ფეხბურთელებს კარგად იცნობდეს. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის დიდი პატივი და თავის წარმოჩენის საშუალება იქნებოდა. უდავოა, მე ჩემი პლუსები მაქვს – შესანიშნავად ვიცნობ საქართველოს ნაკრების როგორც გუნდის და ცალკეული ფეხბურთელების პოტენციალს. იგივეს ვიტყვი თქვენს გუნდზეც. დიდ სირთულეს აქ სამუშაოდ ვერ ვხედავ. ეს ნებისმიერ შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია, თუმცა ვფიქრობ, ამ პოსტზე მთავარი კანდიდატი მაინც სტანიმირ სტოილოვი იქნება, რომელმაც საკლუბო დონეზე ყველაფერი მოიგო. თუ დათანხმდა, ნაკრებში პერსპექტივა აქვს. თუ მე მომმართეს წინადადებით, რა თქმა უნდა, მივიღებ.

# ქუთაისი ლიდერია. რუსთავმა დელტას ბრძოლაში მოუგო

**რუსთავი-მარნეული 101:99 (ოტ)**
**(22:19, 13:21, 24:25, 29:22, 14:12)**

რუსთავში მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საინტერესო, დაძაბული და დრამატული მატჩი გაიმართა. ცხრილში მე-3 ადგილზე მყოფმა რუსთაველებმა ერთ-ერთ აუტსაიდერს, მარნეულის დელტას უმასპინძლეს და დამატებით დროში დაამარცხეს.

ეს მატჩი მოკლე დროში გაბათილებული სხვაობის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გამოდგა ბოლო წლების ქართული კალათბურთის ისტორიაში. მატჩის დასრულებამდე 3:30 წუთით ადრე მარნეულელები 14 ქულით – 83:69 იგებდნენ, თუმცა დარჩენილ მოკლე დროში მასპინძლებმა მცირე სასწაული მოახდინეს და ანგარიში გაათანაბრეს. რუსთაველებს მოგება ძირითად დროშივე შეეძლოთ, თუმცა გოგა ცეკვავამ საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და მატჩი დამატებით დროში გადაიზარდა.

ძირითადი დროის ბოლო 3 წუთში და დამატებით 5-წუთეულში რუსთაველებმა ჯამში 8 სამქულიანი ჩააგდეს: 4 რეზო ჩაჩანიძემ და 4-იც – ადამ ბლეიზეკმა. 83:72 მოლიდერე დელტას ამერიკელი ლეგიონერი, ნიკოლას ნილი ბლეიზეკზე არასპორტულად დაჯარიმდა, რუსთაველთა უკანახაზელმა კი ორივე საჯარიმოც ჩააგდო და წამებში სამქულიანიც მიითვალა. შემდეგ ჩაჩანიძის ჯერი დადგა, რომელმაც ორ შეტევაში თითო სამქულიანი მიითვალა და სწორედ ამ გარდატეხის შემდეგ გადავიდა თამაში ოვერტაიმში.

ჯიბიდან ამოღებული გამარჯვების მიუხედავად, მარნეულელები არ გატყდნენ, დამატებით დროში ქულას ქულაზე იხვეჭდნენ და ბოლო წუთზე 3-ქულიანი ლიდერობა და შეტევაც შერჩათ. დელტას კალათბურთელებმა 2 მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს – ზედიზედ დაკარგეს ბურთი, რასაც რეზო ჩაჩანიძემ ორქულიანით უპასუხა და 1 ქულით ჩამორჩენილ რუსთავს თამაშის გადასარჩენად 22 წამი დარჩა. ბურთი მეტოქის ნახევარზე ადამ ბლეიზეკმა გადაიტანა და სამქულიან ნიშნულამდე არმისულმა, დაახლოებით 8-9 მეტრიდან გამარჯვების სამქულიანი ჩააგდო – 101:99.

დარჩენილ 6 წამში დელტამ მოასწრო შეტევის ორგანიზება, თუმცა საბა ლობჟანიძემ ჯერ სამქულიანი ააცილა, შემდეგ კი აცილებულს დაამატა, მაგრამ ისევ ააცილა.




რუსთაველებს 29 ქულით, 6 პასით და 4 ჩაჭრით ბლეიზეკმა ულიდერა. 27 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა ტაირელ ნელსონმა, ხოლო რეზო ჩაჩანიძემ შეხვედრა 24 ქულით და 5 პასით დაასრულა. ორმაგი დუბლი – 16 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა პოლ კუპერმა. დელტაში 26 ქულით და 7 მოხსნით საუკეთესო იყო არტიომ შვეცი. 24 ქულა საბა ლობჯანიძემ მოაგროვა, ხოლო ნიკ ნილმა პირად ანგარიშზე 20 ქულა ჩაიწერა.

**ქუთაისი-ბათუმი 78:71**
**(22:15, 30:19, 10:28, 16:9)**

საინტერესო მატჩი შედგა ქუთაისშიც, სადაც ბათუმი ჩავიდა და მასპინძლებს საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. რიონისპირელებს 2 წამყვანი კალათბურთელი აკლდათ აკაკი ლომოური და აკაკი დვალიშვილი, თუმცა ამის მიუხედავად მასპინძლებმა ჩინებულად დაიწყეს: ქუთაისელებმა პირველი პერიოდი 7 ქულით მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის უკვე 18-ით იგებდნენ.

სწორედ 18 ქულით – 28:10 მოიგო მესამე პერიოდი აჭარულმა გუნდმა და ბოლო ათწუთეულის წინ ანგარიში თანაბარი გახლდა. ერთია, გადამწყვეტ მომენტში ვიცეჩემპიონმა ქუთაისელებმა მაინც იძალეს და საბოლოოდ 78:71 გაიმარჯვეს.

გამარჯვებულებში საუკეთესო იყო ჯონათან ლი – 17 ქულა, 6 მოხსნა, 8პასი, ორმაგი დუბლი შეარულეს ბექა ბექაურმა (16 ქულა, 12 მოხსნა) და რიჩარდ მათიაშვილმა (10 ქულა, 10 მოხსნა), დეჟუან ვრაითი რიონისპირელებს 15 ქულით შეეშველა, ხოლო გიგი ბარბაქაძე – 12. ბათუმელთაგან საუკეთესო იყო სპენსერ კოლინზი – 25 ქულა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 17 | 14 | 3 | 1459:1270 | 31 |
| 2.რუსთავი | 17 | 12 | 5 | 1409:1303 | 29 |
| 3.დინამო | 16 | 11 | 5 | 1328:1193 | 27 |
| 4.ბათუმი | 17 | 9 | 8 | 1305:1221 | 26 |
| 5.კაქტუსი | 16 | 9 | 7 | 1277:1314 | 25 |
| 6.ოლიმპი | 16 | 9 | 7 | 1232:1180 | 25 |
| 7.მგზავრები | 16 | 5 | 11 | 1222:1366 | 21 |
| 8.დელტა | 17 | 4 | 13 | 1319:1471 | 21 |
| 9.სოხუმი | 16 | 1 | 15 | 1200:1433 | 17 |

# ალექსის სანჩესს 16 თვე მიუსაჯეს

თუ ალექსის სანჩესი 1 მილიონ ევროს არ გადაიხდის, მაშინ მანჩესტერ იუნაიტედი ახალნაყიდ ფეხბურთელს 16 თვის განმავლობაში მოისაკლისებს.

საქმე ისაა, რომ მანჩესტერ იუნაიტედის ჩილელ შემტევს 16-თვიანი პატიმრობა მიესაჯა. სანჩესს ბრალად გადასახადების დამალვა ედება. ბრალი სანჩესს 2012-13 წლებში წაუყენეს, როდესაც ჩილელი ფეხბურთელი ბარსელონაში თამაშობდა.

კატალონიის პროკურატურის აზრით, სანჩესმა საიმიჯო უფლებების გადაცემის იმიტირება მალტური ფირმა ნუმიდიასთვის განახორციელა, რომელიც თავადვე დააარსა. შედეგად, სანჩესი ფირმის მეშვეობით საიმიჯო უფლებებიდან მიღებული შემოსავლებიდან გადასახადებს არიდებდა თავს.

პროკურორმა კი საბოლოო გადაწყვეტილება გუშინ მიიღო, ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად კი, როდესაც პირს თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე ნაკლები ვადით ეფარდება, უფლება აქვს, ჯარიმის სანაცვლოდ სასჯელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ მოიხადოს.



სანჩესს დაახლოებით 1 მილიონი ევროს დამალვა ედება ბრალად. შესაბამისად, ის ამ რაოდენობის თანხას გადაიხდის და თავისუფალი იქნება.

შეგახსენებთ, რომ გადასახადების დამალვის გამო ბოლო წლებში ბრალი კრიშტიანო რონალდუს, ჟოზე მოურინიოს, ლეო მესისა და რიკარდო კარვალიოსაც წაეყენათ.

როგორც გითხარით, ჩილელმა ფეხბურთელმა კლუბი ახლახან გამოიცვალა. მან მანჩესტერის მაისური უკვე 2-ჯერ მოირგო და სადებიუტო გოლიც გაიტანა.

## შედეგები

**7 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სამეფო თასი**

სევილია-ლეგანესი ........................ 2:0

**გერმანია. თასი**

აინტრახტი-მაინცი ........................ 3:0
შალკე-ვოლფსბურგი ........................ 1:0

**საფრანგეთი. თასი**

ლანსი-ტრუა ........................ 1:0
მეცი-კაენი ........................ 1:1(2:3პ)
შამბლი-გრანვილი ........................ 1:0
მონპელიე-ლიონი ........................ 1:2

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

პსვ-ექსელსიორი ........................ 1:0
ტვენტე-ალკმაარი ........................ 0:4
უტრეხტი-სპარტა ........................ 1:0
ტილბურგი-ვენლო ........................ 3:0
ბრედა-ერაკლესი ........................ 6:1
როდა-აიაქსი ........................ 2:4

**პორტუგალია. თასი**

პორტუ-სპორტინგი ........................ 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# საქართველოს კალენდარი შეუცვალეს




ერთა თასის გათამაშების კალენდარში ცვლილება შევიდა – უეფას გადაწყვეტილებით, შეიცვალა ტურნირის მე-5 ტურის შეხვედრის ჩატარების თარიღი საქართველოს ნაკრების მონაწილეობით.

კერძოდ, ანდორისა და საქართველოს საფეხბურთო ნაკრებთა მატჩი 16 ნოემბრის ნაცვლად 15 ნოემბერს ჩატარდება.

15 ნოემბერს ყაზახეთი შინ ეთამაშებოდა ლატვია, ხოლო ჩვენი ნაკრები ერთი დღით გვიან ანდორაში ჩაატარებდა შეხვედრას, დასკვნით ტურში კი, 19 ნოემბერს, ერთმანეთს საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრებები შეხვდებოდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლოა, დასკვნითი მატჩი გადამწყვეტიც კი ყოფილიყო ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად, ყაზახები ერთი დღით მეტად დასვენებულნი ხვდებოდნენ თბილისურ მატჩს. ამის შესახებ ადრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმაც ისაუბრა. კობიაშვილი თარიღის შეცვლის დღეს საქართველოში არ იმყოფებოდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად იყო წასული. როგორც ჩანს, ქართული მხარის ლოგიკურმა პროტესტმა გაჭრა.

შედეგად, ერთა ლიგის დ დივიზიონის პირველი ჯგუფის ბოლოსწინა და ბოლო ტურის მატჩები ერთ დღეს გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**საზოგადოება**

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფოლკლორის დარბაზ-მუზეუმი გაიხსნება



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მალე ფოლკლორის დარბაზ-მუზეუმი გაიხსნება.

სასიხარულო ინფორმაციას ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე ავრცელებს:

– სუპერ-ამბავი: ეროვნულ ბიბლიოთეკაში მალე ფოლკლორის დარბაზ-მუზეუმი გვექნება! თანამედროვე, რესტავრირებული სივრცე, სადაც გარდა შესანიშნავი გარემოსი, აქტიურ მუშაობას დავიწყებთ, ერთი მხრივ, არსებული მასალის გაციფრებაზე, მეორე მხრივ, სპეციალური ჯგუფი ოჯახ-ოჯახ ივლის და მათთან შემონახულს გააციფრებს. პროექტს ქართული გალობის ფონდი და ღვინის კომპანია შილდა დააფინანსებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 9 თებერვალი



**ვერძი** – მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. ადრე დადებული საქმიანი გარიგებები საკმაოდ დიდ მოგებას მოგიტანთ. **კურო** – წვრილმანებს ნუ გამოეკიდებით. არ ღირს უბრალო რამეზე ნერვების აშლა. თუ გარშემომყოფებისადმი სითბოთი და ნდობით განიმსჭვალებით, საპასუხოდ ამავეს მიიღებთ. **ტყუპები** – თუ ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდეს შეინარჩუნებთ, ყველაფერი იდეალურად გამოგივათ. ემოციები მოთოკეთ და ეცადეთ, დამოკიდებული არავისზე იყოთ. **კირჩხიბი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ნერვებს არ აჰყვეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. კარგი იქნება, თუ წყლის პროცედურებს ჩაიტარებთ. **ლომი** – მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მეგობრები და ახლობლები დაგეხმარებიან. თავს ნუ გადაიტვირთავთ, აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ქალწული** – ძალზე დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **სასწორი** – ზედმეტი მიამიტობა და მიმნდობი ბუნება დღეს ზიანს მოგიტანთ. ერიდეთ მატყუარა ადამიანებს. ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ. **ღრიანკალი** – საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **მშვილდოსანი** – იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **თხის რქა** – დღეს ნებისმიერი წამოწყება კრახით დამთავრდება. ფხიზლად იყავით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **მერწყული** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. მოთმინებით აღიჭურვეთ და საქმე ისე აკეთეთ. **თევზები** – კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. თქვენი აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



# ტაილანდური კაფეს მფლობელს ნახევრად შიშველი ოფიციანტის გამო პატიმრობა ემუქრება

კაფეს მფლობელს, რომელიც ტაილანდის ქალაქ ჩონბურიში გაიხსნა, პატიმრობა ემუქრება სარეკლამო ვიდეოსა და ფოტოსურათების გამოქვეყნებისთვის, რომელშიც დაწესებულებას რეკლამას უწევს ნახევრად შიშველი ოფიციანტი გოგონა.

კაფეს რეკლამაში, რომელიც გასული თვის ბოლოს გაიხსნა, ფიგურირებდა მოდელი, რომელსაც შიშველ სხეულზე მხოლოდ წინსაფარი ეცვა. სურათებზე, რომელიც თავად კაფეს მფლობელმა გადაიღო, ნახევრად შიშველ გოგონას კაფეს მომხმარებლებთან სასმელები მიაქვს. ვიდეორგოლში ის აცხადებს, რომ კაფე მშვენიერი გამოვიდა, ვინაიდან იქ ბევრი რძეა, რის შემდეგაც საკუთარ მკერდზე მიანიშნებს.

ამ რეკლამამ სამართალდამცავი ორგანოების ყურადღება მიიპყრო. კაფეს მფლობელს შეუფერებელი მასალების გავრცელება დასდეს ბრალად. თუ მას დამნაშავედ ცნობენ, მაშინ კაფეს მფლობელს სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება. გარდა ამისა, ის შესაძლოა 100 ათასი ბატითაც დააჯარიმონ.

კაფეს მფლობელის თქმით, ის ფიქრობდა, რომ კანონს არ არღვევდა, ვინაიდან მოდელი სრულიად შიშველი არ ყოფილა.

# პენსიონერმა 30 კატა შეიკედლა

ამერიკის ნიუ იორკის შტატის ქალაქ მედფორდის მცხოვრებმა დაახლოებით 30 კატა შეიკედლა.

მატარებლის ყოფილმა გამცილებელმა კრის არსენუმ თავისი სახლის დიდი ნაწილი კატების თავშესაფრად აქცია. ოთახებში გაჭიმულია ჰამაკები ცხოველებისთვის, ხოლო კედლებზე მიჭედებულია ფიცრები, რათა ცხოველებმა მათზე ჩვეულებისამებრ ბრჭყალების გალესვა შეძლონ. ეზოში დადგმულია მოწყობილობები საკვების ჩასაყრელად და ვოლიერები კატებისთვის. თავად არსენუ ერთადერთ ცხრა კვადრატული მეტრი ფართობის ოთახში ცხოვრობს, რომელიც აუცილებელი მოწყობილობებითაა აღჭურვილი, მათ შორის ტუალეტითა და პირსაბანით. მამაკაცი იქ იძინებს, საჭმელს ამზადებს და სადილობს.

58 წლის მამაკაცი დილის შვიდ საათზე დგება და მთელ დღეს კატების მოვლას ანდომებს – საჭმელს უყრის, წყალს უსხამს, ალაგებს. იმისთვის, რომ შენობის დალაგება გაადვილებოდა, კედლებზე პლასტიკატია გაკრული, ხოლო იატაკზე ვინილია დაგებული.

მამაკაცის თქმით, კატების თავშესაფრის გახსნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც რკინიგზის მახლობლად მიტოვებული ცხოველები იპოვა. მან 30 კნუტი სახლში წამოიყვანა, ვინაიდან იცოდა, რომ თუ მათ იქ დატოვებდა, ყველანი დაიხოცებოდნენ. მისივე თქმით, კატები მას იმითაც ეხმარებიან, რომ 24 წლის შვილის დაღუპვით გამოწვეული სევდა გადაატანინონ.



# 560 მილიონის მომგებ ამერიკელს ვინაობის გამხელა არ სურს

ამერიკული ლატარიის პაუერბოლის გამარჯვებულმა ქალბატონმა, რომლის მოგებამ 560 მილიონი დოლარი შეადგინა, უარი განაცხადა, მოგების მისაღებად საკუთარი მონაცემები მიეთითებინა.




ქალი აპირებს, სასამართლოს დახმარებით მიიღოს უფლება, ანონიმურად აიღოს მოგებული თანხა. სასამართლოს საბუთებში მან საკუთარ ვინაობად ჯეინ დოუ მიუთითა, რაც ანონიმური სარჩელების ტრადიციულ აღნიშვნას წარმოადგენს.

იღბლიანი ქალი შიშობს, რომ მისი მოულოდნელი გამდიდრების შესახებ ქალაქის ყველა მცხოვრები შეიტყობს, მათ შორის თაღლითები და დამნაშავეებიც.

– მას სურს, რომ ყოველგვარი შიშის გარეშე იაროს მაღაზიებში და დაესწროს ქალაქში გამართულ ღონისძიებებს, ამისთვის კი მისი გამილიონერების შესახებ არავისთვის უნდა გახდეს ცნობილი, – განაცხადა ქალის ადვოკატმა.

# ბრაზილიაში საქორწინო ცერემონია პორნოს კვნესის ხმებმა შეწყვიტა

ბრაზილიაში ქორწილის დროს მენდელსონის მარშის ნაცვლად სექსუალური კვნესის ჩანაწერი ჩართეს.



ვიდეოზე, რომელიც ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა, სიძე-პატარძალი მიდიან მაგიდასთან, სადაც ქორწინების გაფორმება ხდება. მოულოდნელად საზეიმო მუსიკას ქალის ხმამაღალი კვნესა ცვლის. ჩანაწერი იმწამსვე გამორთეს და ცერემონია სიჩუმეში გაგრძელდა, რომელსაც მხოლოდ სტუმრების ხითხითი არღვევდა.

ეს გაუგებრობა ქორწილის ორგანიზატორების გამო მოხდა, რომლებმაც ინტერნეტიდან საქორწინო მარშის მეკობრული ჩანაწერი გადმოქაჩეს და ჩართვის წინ ის არ შეუმოწმებიათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 2. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. გაეროს გენერალური მდივანი; 4. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 5. შენობის ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება; 8. ემილ ზოლას რომანი; 9. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 10. ფრინველის საჭერი მახე; 12. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 13. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 15. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად.

**თარაზულად:** 1. ბუს მეორე სახელწოდება; 6. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 7. გზისპირა პატარა რესტორანი ესპანეთში; 10. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 11. ჩინური ფინიკი; 13. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი; 14. მტაცებელი ფრინველი; 16. უძველესი ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 17. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 18. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტრაქტი; 2. ცედრა; 3. ნასა; 5. ჯილეხი; 6. ბრიჯი; 7. პეტარდა; 11. ისინდი; 13. პრიკაზი; 14. ჭინკა; 15. კრანახა; 16. დასლერი; 17. ოქსინო; 19. ატაშე; 20. ჯიქი.

**თარაზულად:** 1. ტიციანი; 4. თარჯი; 8. სტეკი; 9. ლუდი; 10. ქორქია; 12. თავთუხი; 14. ჭონა; 15. კაპიტალი; 16. დენთი; 18. გინზა; 21. სირია; 22. რეაქცია; 23. შინშილა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბიტი; 2. ისე; 3. ტრიპიტაკა; 4. ჰინდი; 5. ლებარდე; 8. სურა; 9. კასტელი; 10. პარასოლი; 12. ტრაკაი; 13. ლხინი; 15. ორერა.

**თარაზულად:** 1. ბაღდადი; 6. ქრისტინე; 7. ტოსკა; 10. პეპსი; 11. ბროლა; 13. ლიტვა; 14. ბროსე; 15. კები; 17. ადიგენი; 18. მახათა.

# ფოთის თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია

ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია. შენობა, რომელიც ექსპლუატაციაში 2014 წელს შევიდა და დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა, უკვე ინგრევა.

ფოთის თეატრის მესვეურები მოითხოვენ, შეწყდეს თეატრის შენობაში სპექტაკლებისა და სხვადასხვა ღონისძიების გამართვა:

– ფოთის თეატრის ფოიეში კიდევ ჩამოვარდა ჭერის ფრაგმანტი! არის სხვა ადგილებიც, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩამოვარდება! ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისთანავე მივმართოთ კულტურისა და სპორტის სამინისტროს, დაზიანებული უბნების შეკეთებამდე და შენობის უსაფრთხოების დადგენამდე შეჩერდეს ფოთის თეატრში სპექტაკლებისა და სხვა ღონისძიებების გამართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფოთის თეატრი იხსნის პასუხისმგებლობას მოსალოდნელ შედეგებზე...

უბედური შემთხვევა „ვარკეთილის“ მეტროში არის კიდევ ერთი სიგნალი იმისა, რომ ექსპლუატაციაში ახლად მიღებული შენობების სამშენებლო სამუშაოების ხარისხი შესასწავლია. გასამკაცრებელია ექსპლუატაციაში მიღების სტანდარტები. პასუხისმგებელმა პირებმა უნდა კარგად გაიაზრონ მოსალოდნელი შედეგები.



ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით მღებრიშვილმა კი განაცხადა:

– ფოთის თეატრის ყველა გულშემატკივარი ინფორმირებულია ფოთის თეატრის შენობის მდგომარეობის შესახებ. შენობა შენდებოდა 9 წელი და 2014 წელს იქნა მიღებული ექსპლუატაციაში. მიუხედავად ამისა, ახალი შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც თეატრის ხელმძღვანელს, მაქვს ერთი შეკითხვა, რომელიც მინდა გავაცნო ფართო საზოგადოებას. თეატრში ჩატარდა შეხვედრა ფოთის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილთან. პირადად მე შეხვედრას არ ვესწრებოდი, რადგანაც ასეთი შეხვედრები ფოთის თეატრში უფრო მაღალი თანამდებობის პირებთანაც ადრეც არაერთი ჩატარებულა და მათ არანაირი შედეგი არ მოუტანიათ, ჩვენი პრობლემები ისევ ჩვენს პრობლემებად რჩება. პირადად გიორგი ფარეშიშვილთან არაფერი საპრეტენზიო არ გამაჩნია, რადგანაც იგი ახალი მოსულია და ახლა ეცნობა არსებულ ვითარებას.

შეხვედრაზე გაიჟღერა შემდეგმა ინფორმაციამ: როგორც გაირკვა, ფოთის თეატრის შენობის რეაბილიტაცია არ ხდება იმიტომ, რომ ფოთის მერიას კულტურის სტრატეგიის განვითარების ფარგლებში უნდა გაეგზავნა მოთხოვნა დედაქალაქში, მთავრობაში, კულტურისა და სპორტის სამინისტროში თუ სად, არ ვიცი, შენობის რეაბილიტაციის მოთხოვნის შესახებ, სავარაუდოდ, თანხების გამოყოფის მოთხოვნით, რაც მერიამ არ გააკეთა და რის გამოც ფერხდება რეაბილიტაციის განხორციელება. ის კი, რომ ეს მოთხოვნა არ გაიგზავნა, ფორმალურად ნიშნავს იმას, რომ თეატრის შენობის რეაბილიტაცია არ შედის მერიის ამჟამინდელ პრიორიტეტებში, რისი დაჯერებაც ჩვენ არ გვინდა.

მაქვს შეკითხვა: რატომ უდგას წინ ასეთი ტიპის პრობლემების გამოსწორებას, რომლებიც შეიცავს საფრთხეს ადამიანების ჯანმრთელობისათვის და, მოგეხსენებათ, ჩვენს თეატრში უკვე ერთი ადამიანის ჯანმრთელობა შეეწირა ამგვარ პრობლემას, ამდენი ბიუროკრატიული წინააღმდეგობა? ხომ არ არის გადასახედი სასიცოცხლო გადაწყვეტილებების მიღების წესები და მექანიზმები?

პასუხისმგებელ პირებს ვთხოვთ და მოუწოდებთ, დაგვეხმარეთ, რომ ეს საკითხები მაქსიმალურად სწრაფად დაიძრას მკვდარი წერტილიდან, რათა მომავალში კიდევ უფრო მძიმე შედეგის წინაშე არ დავდგეთ!

## ჯაბა ბოჯგუა 9 წელია კომაშია



მომღერალი ჯაბა ბოჯგუა 9 წელია კომაშია. ის დედასთან, მანანა გვასალიასთან და მოხუც ბებიასთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. მომღერლის დედას იმედი აქვს, რომ ჯაბა აუცილებლად კარგად გახდება.

**მანანა გვასალია:**

– დედაშვილობა ყველაზე წმინდა გრძნობაა ამქვეყნად... ჯაბა, შვილო, შენ ხომ ჩემი გულის ძგერის ერთადერთი მიზეზი ხარ... ბოლო 9 წელია, ზუსტად ვიცი, რომ სიცოცხლე შენ გამო მინდა.

დედაშვილობაა ის გრძნობა, რომელიც მაძლიერებს და ყოველ წუთს ველოდები შენს გამოჯანმრთელებას. მინდა მოგეფერო, თვალებში გიცქირო, გაგიღიმო და შენი სიყვარულით სავსე თვალები დავინახო მალე.

შენით ვარსებობ, შენით ვსუნთქავ, დედი. 9 წელია, იმედით ვცოცხლობ, 9 წელია, შენს გულს ვდარაჯობ... შენ ხარ გათენება ჩემი...

8 თებერვლის დილა იყო მაშინაც... 9 წლის წინ... მიყვარხარ, დედი...

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლისაა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუბილარია. უნივერსიტეტი 100 წლისაა. ზუსტად 100 წლის წინ, 1918 წლის 8 თებერვალს, თბილისში კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი დაარსდა.



სიმბოლურია, რომ უნივერსიტეტი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა. თავის დროზე დავით აღმაშენებელმაც გელათის აკადემია დააფუძნა და განათლება უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნია.

უნივერსიტეტის დაფუძნებაში საუკეთესო პიროვნებები მონაწილეობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, კოტე აფხაზი, გრიგოლ გველესიანი, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი ახვლედიანი და იოსებ ყიფშიძე.

მათგან ყველაზე დიდი წვლილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში ივანე ჯავახიშვილის მიუძღვნის. მისი ღვაწლი მართლაც განსაკუთრებულია.

ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ღამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდრია ბენაშვილი, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი.

თსუ-ს პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, ივანე ჯავახიშვილი კი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში.

უნივერსიტეტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა აკურთხა.

1989 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

## სტეფანე მღებრიშვილს ჰარდ როკ კაფეში სიმღერისთვის აკრიტიკებენ



14 თებერვალს მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი კონცერტს ჰარდ როკ კაფეში გამართავს. მომღერალი, რომლის კონცერტებიც ყველგან ანშლაგებით მიმდინარეობს, ამჯერად კრიტიკის ობიექტი გახდა.

სტეფანემ კრიტიკოსებს მსოფლიო ვარსკვლავების მაგალითი მოუყვანა:

– კაილი მინოუგი ბერგჰაინში დაუკრავს და მე ჰარდ როკ კაფეში რომ დავუკრა, რა შოკში ვარდებით? რომელიმე ნამყოფი მაინც იყოთ, როკ არტისტებზე მეტი პოპ ვარსკვლავების ნივთებია გამოფენილი იქ და ისედაც რა მნიშვნელობა აქვს ადგილს, თუ შენ შენს საქმეს გულით აკეთებ. თან ამ ყველაფრის ექსპერტობა რომ არ გიტყდებათ, ცხოვრებაში ხეც არ გაქვთ დარგული, საქმეებზე რომ არაფერი ვთქვათ.

## რევაზ ინანიშვილის მეუღლემ თსუ-ს მწერლის არქივი გადასცა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მწერლის მეუღლემ როზა ინანიშვილმა თსუ-ს რევაზ ინანიშვილის პირადი წიგნები, ხელნაწერები და ფოტოები გადასცა.

ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ გაავრცელა:

– მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო რევაზ ინანიშვილის მეუღლეს, როზა ინანიშვილს, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იუბილეზე საჩუქრად მწერლის პირადი წიგნები, ხელნაწერები და ფოტოები გადასცა.

რევაზ ინანიშვილის წარმატებულ სამწერლო საქმიანობაში დიდი წვლილი მიუძღვის ნიკო კეცხოველს, რომელიც 8 წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო. მან დააარსა ახალგაზრდა მწერალთა წრე და არაერთ ახალგაზრდას გაუკვალა გზა. წრის პირველ წევრთა შორის რეზო ინანიშვილი იყო. მისმა წაკითხულმა მოთხრობამ რექტორი მოხიბლა და ახალგაზრდაში დიდი ნიჭი დაინახა.

რევაზ ინანიშვილის ავტორობით 20 წიგნია გამოცემული, გადაღებულია შვიდი ფილმი და დადგმულია ორი სპექტაკლი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

### კალეიდოსკოპი

## გერმანელმა ჯადოქრებმა გოგონას ფეხები ქვაბში მოხარშეს



გერმანიაში კარნავალის შემდეგ საავადმყოფოში იქნა მოთავსებული 18 წლის გოგონა, რომელსაც ფეხებზე დამწვრობა აღენიშნებოდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხუმრობით მის ქვაბში მოხარშვას ცდილობდნენ.

ინციდენტი გერმანიის ქალაქ ეპინგენში მოხდა. ჯადოქრების კოსტიუმებში გამოწყობილ ორ პირს მოჰქონდა დიდი ქვაბი, სავსე მდუღარე წყლით. მათთან მიიყვანეს გოგონა, სავარაუდოდ, ხუმრობით. შემდეგ ერთ-ერთმა „ჯადოქარმა“ გოგონა ასწია და ფეხებით ქვაბში ჩაუშვა. გოგონას ქუსლები და ტერფები დაემდუღრა.

გერმანიის პოლიცია ეძებს ორ პირს, რომლებიც ჯადოქრების კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილი. მათ ელით პასუხისგებაში მიცემა გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისთვის. თავად დაზარალებული საავადმყოფოში იმყოფება. ექიმების პროგნოზით, გოგონა საავადმყოფოში მინიმუმ კიდევ ერთი კვირა დარჩება.

## ქალი სწრაფად მიმავალი მანქანიდან გადახტა და გადარჩა

ტაივანის ქალაქ ტაინანში ქალი გადახტა მანქანიდან, რომელიც საათში 60 მილი სიჩქარით (დაახლოებით 97 კილომეტრი საათში) მოძრაობდა.



ინციდენტი მის უკან მიმავალ მანქანაზე დაყენებულმა ვიდეორეგისტრატორმა გადაიღო. ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ იღება ავტომობილის წინა მგზავრის კარი, იქიდან ვარდება შორტებში გამოწყობილი ქალი და გზის პირზე გადაგორდება. მომხდარის მიზეზი გახდა კამათი დაშავებულ ქალსა და საჭესთან მჯდომ მის პარტნიორ მამაკაცს შორის. ქალი არ დაელოდა, თუ როდის გაჩერდებოდა ავტომობილი და მიმავალი მანქანიდან გადახტა.

ქალმა ფეხზე უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო. თვითმხილველთა მიერ გამოძახებულმა პოლიციელებმა მომხდარი უბედურ შემთხვევად ჩათვალეს და წყვილს მხოლოდ გაფრთხილება მისცეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

### პარასკევი 9 თებერვალი

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 03.10** "პირადი ექიმი" **11.00** დოკ/ფ **12.15** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.00** დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.30** დოკ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **14.30** ოლიმპიური თამაშების სპეციალური გადაცემა **15.00** 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალი პირდაპირი პიონგჩანგიდან. **17.00, 05.45** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** "რეალური სივრცე" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე **22.15** მხ/ფ "**ადამიანები შავებში**" (უ.სმიტი) **23.35** 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალი. **01.35** მხ/ფ "**ჩაპი**" **04.10** მხ/ფ "**სოლტი**"

**06.30, 18.50, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.00** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **23.30** მხ/ფ "**დღის ცივი შუქი**" **01.00** მხ/ფ "**დამრიგებელი**" **02.35** მხ/ფ "**ჯოჯოხეთი**" **05.30** მხ/ფ "**ჩაკეტილი წრე**"

**06.00, 18.50, 20.03** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** ვანოს შოუ **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv პირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** პირველები **23.10** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS **08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები 2" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში-3**" **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" 1- სერ. **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 10**" **17.00** სერ. "**ფარი**" **19.00** სერ. "**ჯაშუში 4**" **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" **2** სერ. **22.30** სერ. "**ვიკინგები-2**" **23.30** სერ. "**ვიკინგები 3**" **1 00.30** მხ/ფ "**ჯადოქრის მოსწავლე**" **02.30** მხ/ფ "**კოკაინი**" **04.45** მხ/ფ "**სრულყოფილი მკვლელობა**" **06.30** მხ/ფ "**რომისა და მიშელის სასკოლო შეკრება**"

იბერია **08.00** ანანდა **08.10** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 00.00** ახალი ამბები **11.20, 19.55** მე რომ ვიყო **11.30, 02.00** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 03.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.05** სერ. "**გაქცეულები**" **20.00, 04.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ღია სტუდია **00.30** მხ/ფ

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მულტ. ფილმი "ბოლტო" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" I ნაწ. **10.30** მხ/ფ "**აბესალომ და ეთერი**" **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**შუშუნას მზითევი**" **13.15** კონცერტი - იოსებ კეჭაყმაძის საავტორო კონცერტი **15.05** მხ/ფ "**როგორ ვიცხოვრო უშენოდ**" **16.15** კონცერტი - ანს. "იმერი" **18.15** დ/ფ "შორეული ახლობელი" - არსენალის მთა **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** "განთიადი" (გამ) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.35** დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი" **22.20** დროის ჩანაწერები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" II ნაწ. **00.10** ისტორიის დღიური **00.30** მხ/ფ "**რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა**" **01.40** კონცერტი - ილ დივო **03.05** მხ/ფ "**ელენე, ტროას დედოფალი**"

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**9 თებერვლისთვის**

აშშ დოლარი — 2.4681

ევრო — 3.0461

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4275

100 რუსული რუბლი — 4.3145

**ამინდის პროგნოზი 9 თებერვლისთვის**




## 8 თებერვლიდან




ავთანდილ ბუხრაშვილი

**ვინ მოკლა ინსპექტორი**

ქართული დეტექტივი
ტომი 6-7

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

**კონსერვის რიგი**




„კონსერვის რიგი" დიდი ამერიკელი მწერლის – ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## პითონმა ირემი ტურისტების თვალწინ გადაყლაპა

შრი-ლანკაში მყოფმა ტურისტებმა ვიდეოზე გადაიღეს ოთხმეტრიანი პითონი, რომელმაც დაიჭირა და მთლიანად გადასანსლა ირემი.



ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი შრი-ლანკის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ბუნდალას ეროვნულ პარკშია გადაღებული. ტურისტები თვითმხილველები გახდნენ მოვლენისა, თუ როგორ გადაყლაპა ნელ-ნელა უზარმაზარმა ქვეწარმავალმა, რომლის სიგრძე 430 სანტიმეტრს აღწევდა, მოზრდილი ძუძუმწოვარა ცხოველი. ამისთვის მას დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა.

ეროვნული პარკის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ პითონის ქცევით გაკვირვებულნი დარჩნენ.

– ჩვეულებრივ, პითონები მსხვერპლს უკანვე ამოანთხევენ, როდესაც გრძნობენ, რომ მათ ადამიანები უთვალთვალებენ, – განაცხადა პარკის თანამშრომელმა, – მაგრამ, როგორც ჩანს, ის ძალიან მშიერი იყო და ცხოველი მთლიანად გადაყლაპა.

მისი თქმით, ასეთი ზომის ირემი პითონს რამდენიმე თვით მოუკლავს შიმშილის გრძნობას.

## აშშ-ს ფრინველები შეესივნენ

ტეხასელმა მანქანის მძღოლმა ფრინველების უზარმაზარი გუნდი გადაიღო. მისმა ვიდეომ ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალის დაინტერესება გამოიწვია.

ვიდეორგოლი ქალაქ მესკიტის ერთ-ერთ გზაჯვარედინზეა გადაღებული. გაურკვეველი მიზეზებით ფრინველების დიდმა გუნდმა თავშეყრის ადგილად სწორედ გზაჯვარედინი შეარჩია. ათასობით ფრინველი იჯდა შუქნიშნების ბოძებზე და ასევე გზას თავს დასტრიალებდნენ.



ვიდეორგოლის ავტორის თქმით, ყოველ წელს, თებერვლის დასაწყისში, ათასობით ფრინველი გაურკვეველი მიზეზით თავს იყრის გზაჯვარედინის თავზე.

კომენტატორებს ვიდეომ ალფრედ ჰიჩკოკის მიერ 1963 წელს გადაღებული საშინელებათა ფილმი „ფრინველები" გაახსენა. ფილმში მოთხრობილია ფრინველების ერთ ჩვეულებრივ ამერიკულ ქალაქში შეჭრის შესახებ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, მანქანა მათხოვე რა.

– რისთვის გინდა?

– გოგონასთან ერთად ვარ.

– წაიყვანე, მხოლოდ ბენზინი არ ასხია.

– არც გვჭირდება.

•••

გასაუბრებაზე მყოფ მამაკაცს ეკითხებიან:

– რომელ ენებს ფლობთ?

– შემიძლია ვიფიქრო და, რაც მთავარია, ვდუმდე მსოფლიოს ყველა ენაზე.

•••

ქვეყნის პრემიერ-მინისტრს სამშობლოში დაბრუნების მსურველი ბიზნესმენების სია გადასცეს. პრემიერ-მინისტრი დაჰპირდა, რომ ამ სიას ჯანდაცვის სამინისტროს გადასცემს.

•••

ჯვრის წერის ცერემონია. ღვთის მსახური აცხადებს:

– ჯვარს იწერენ მონა ღვთისა მიხო და ღვთის რისხვა მარო.

•••

ორი პროგრამისტი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ეს მაგარი ველოსიპედი საიდან?

– გუშინ გვიანობამდე ვიჯექი მდინარის ნაპირთან. უცბად ველოსიპედით მაგარი გოგო მოვიდა, გაშიშვლდა, ჩემ წინ დაწვა და მითხრა: „შენი იქნება, რასაც მოისურვებ". ჰოდა, მეც ველოსიპედი ავიღე.

– სწორად მოქცეულხარ, აბა მისი ტანსაცმელი არ მოგერგებოდა და...

•••

პროფესორი გამოცდაზე სტუდენტს ეკითხება:

– თქვენი გვარი?

– სვანიძე, – პასუხობს სტუდენტი და იღიმება.

– რატომ იღიმებით?

– თქვენ პირველ შეკითხვას რომ სწორად ვუპასუხე, იმიტომ.

•••

ჩანაწერი საავადმყოფო ბარათში:

„ფსიქიკურად დაავადებული არ არის, უბრალოდ, უტვინოა".

•••

ორი ახლობელი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას ეტყოდი, თუ შეხვდებოდი ისეთ ქალს, რომელიც ყველაფერს გაპატიებდა, იქნებოდა შენ მიმართ კეთილი, ალერსიანი, ნაზი და სადილსაც შესანიშნავად მოამზადებდა?

– გამარჯობა, დედა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 26 იანვრიდან

რომან გვენცაძე



**საბედისწერო გასროლა**

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა



**ქურდები და არიფები**

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## რეალი ისკოს გაყიდვას აპირებს



მადრიდის რეალი ზაფხულში ისკო ალკორკონის გაყიდვას აპირებს, რადგან ზიდანი მისი თამაშით უკმაყოფილოა.

ბოლო პერიოდში ისკო იშვიათად ხვდება რეალის ძირითად შემადგენლობაში და მის წასვლაზე სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ.

ისკომ შარშანდელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა და ის რეალის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლებოდა, მაგრამ წელს ყველაფერი შეიცვალა და რეალი ველარ აჩვენებს მაღალი დონის თამაშს, რაც, ბუნებრივია, ფეხბურთელების ბრალია.

ისკოს შეძენით რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული და ის, სავარაუდოდ, ნისლიან ალბიონზე გადაბარგდება.

## სალაჰს მადრიდში გადასვლა არ სურს



ლივერპულის ეგვიპტელმა ფეხბურთელმა მოჰამედ სალაჰმა განაცხადა, რომ ის ლივერპულში ბედნიერია და სხვა კლუბებზე არ ფიქრობს. სალაჰის თქმით, რეალი ლეგენდარული გუნდია, მაგრამ ამჟამად იქ გადასვლაზე ის არ ფიქრობს.

– ლივერპულში ყველაფერი მაკმაყოფილებს და აქ ძალიან ბედნიერი ვარ. შეიძლება ოდესმე სხვაგან წავიდე, მაგრამ ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება. რეალი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მას დიდ პატივს ვცემ, – განაცხადა მოჰამედ სალაჰმა.

ლივერპულში სალაჰი შესანიშნავ სეზონს ატარებს და ძალიან მაღალი შედეგიანობით გამოირჩევა.

## ბალოტელი შესაძლოა იტალიის ნაკრებში დაბრუნდეს



მარიო ბალოტელი, სავარაუდოდ, იტალიის ნაკრებში დაბრუნდება და მარტში გასამართ ამხანაგურ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს.

იტალიის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს ლუიჯი დი ბიაჯოს სახით და დი ბიაჯოს სურს რამდენიმე ფეხბურთელის ნაკრებში დაბრუნება, მათ შორის არის ბალოტელიც, რომელმაც ბოლოს იტალიის ნაკრებში 2014 წელს ითამაშა.

შესაძლოა, დი ბიაჯომ ჯან ლუიჯი ბუფონიც გამოიძახოს, რომელმაც სანაკრებო კარიერა ნოემბერში დაასრულა, თუმცა, შესაძლოა, ბუფონმა გადაწყვეტილება შეცვალოს.

## უსმან დემბელე ჩელსისთან შეხვედრისთვის მზად იქნება



უსმან დემბელე ორ კვირაში მზად იქნება სათამაშოდ. ამის შესახებ განცხადება ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ გააკეთა.

ვალვერდეს თქმით, დემბელეს სარეაბილიტაციო პერიოდი კარგად მიმდინარეობს და მალე მას მოედანზე ვიხილავთ.

ახალგაზრდა ფრანგმა ფეხბურთელმა წლევანდელ სეზონში ტრავმა უკვე მეორედ მიიღო და მან მხოლოდ რამდენიმეჯერ ითამაშა ბარსელონის შემადგენლობაში.

ჩელსისთან შეხვედრა ლონდონში 20 თებერვალს გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 2. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 3. დიდგვაროვანთა ტიტული ეგვიპტესა და ოსმალეთში; 5. მეფის მრჩეველი; 6. კუთხე საქართველოში; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 11. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 13. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 14. პურეული მცენარე; 15. კონდრატე თათარაშვილის რომანი; 16. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. მდინარის, გზატკეცილის ქვეშ გაყვანილი წყლის გამტარი მილი; 19. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 20. ნავსადგური საქართველოში.

**თარაზულად:** 1. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 4. საჭმელი სოკო; 8. სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვების ადგილი; 9. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 12. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 14. მდინარე საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 15. მთავრობის წევრი; 16. ფრანგი მოდელიერი; 18. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 21. უბანი თბილისში; 22. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 23. თვითმფრინავის ან გემის დაქირავება გარკვეული დროით და პირობებით.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

